პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 249 (10946) | კვირა, 20 ოქტომბერი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

ხალხთა ერთიან ოჯახში

ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარი ოქტომბრის რევოლუციისა არის მუშათა და გლეხთა მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი შეიქმნა და განვითარდა როგორც ეროვნულ სახელმწიფოთა ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც ემყარება თანასწორუფლებიანობის, ურთიერთპატივისცემისა და მჭიდრო თანამშრომლობის პრინციპს. ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრულმა განხორციელებამ გამოიწვია ხალხის მასების შემოქმედების უმაგალითო აყვავება, შეიქმნა მშრომელთა ტალანტებისა და ნიჭის ყოველმხრივ განვითარების ყველა პირობა. ოქტომბრის რევოლუციამ ძირეულად შეუცვალა სახე ჩვენს სამშობლოს, სოციალიზმმა ახალი ცხოვრება დაუშვა ჩვენი ქვეყნის ყველა ერებს.

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების უმაგალითო მიღწევები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრულად განხორციელების შედეგია. ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ნიადაგი გამოაცალა ეროვნულ შუღლსა და მტრობას, ჩვენი დიადი ქვეყნის ხალხები ერთ ძმურ ოჯახში გააერთიანა. მათი ურყევი მეგობრობა საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების მარად ცოცხალი წყაროა.

საუკუნეობით ჩაგრულმა და ჩამორჩენილმა ხალხებმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდი რუსი ხალხისა და მოძმე ხალხების დახმარებით შექმნეს მძლავრი, ყოველმხრივ განვითარებული ინდუსტრია — მთელი ეკონომიკის საფუძველთა საფუძველი.

მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა სომხეთის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სომხეთის რესპუბლიკაში გაიზარდნენ კვალიფიციური მუშათა, სპეციალისტთა, მეცნიერთა მრავალრიცხოვანი კადრები, თვალსაჩინო წარმატებებია მიღწეული ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებაში. კულტურული ზრდის მაჩვენებელია სახალხო განათლების მძლავრი განვითარება. მაგალითად, ამჟამად რესპუბლიკაში მოქმედებს 1.187 სკოლა, რომლებშიც სწავლობს 300 ათასამდე ბავშვი — თხუთმეტჯერ მეტი, ვიდრე 1914 წელს. ბავშვთა კომუნისტურ აღზრდას ემსახურება 18 ათასზე მეტი მასწავლებელი. რევოლუციამდე სომხეთში არც ერთი სამეცნიერო დაწესებულება არ ყოფილა. ცალკეული სომეხი მეცნიერები იძულებული იყვნენ თავიანთი ქვეყნის გარეთ ეძებნათ სამუშაო. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდანვე სომხეთში დაარსდა უნივერსიტეტი და სხვა სამეცნიერო დაწესებულებები, რამაც საშუალება მისცა სომეხ ხალხს აღეზარდა თავისი კადრები. სომეხმა მეცნიერმა მუშაობა დაუღალავი შრომის შედეგად მიაღწიეს ისეთ შედეგებს, რომლებსაც დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ.

რევოლუციის შემდეგ სომხეთის მრეწველობა არნახული ტემპით განვითარდა. განვლილი ხუთწლედების მანძილზე შეიქმნა და დიდად განვითარდა ფერადი მეტალურგია, რომელიც ჩვენს ქვეყანას აძლევს სპილენძს, მოლიბდენს, ალუმინს და მთელ რიგ სხვა ლითონებს. აუარაცხელია რესპუბლიკის საშენ მასალათა მარაგი. შეიქმნა საშენ მასალათა მრეწველობა. სომხეთის ტუფი, ფილზიტი, მარმარილო ახლა ამკობს არა მარტო რესპუბლიკის ქალაქებსა და დაბებს, არამედ მოძმე რესპუბლიკებშიც დიდი რაოდენობით მიაქვთ. სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობაში დიდი ხვედრითი წონა აქვს მსუბუქსა და კვების მრეწველობას, რომელიც რესპუბლიკაში დიდად განვითარდა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში თუ რა დიდად განვითარდა სომხეთის მრეწველობა, ამას ნათლად მეტყველებს შემდეგი ფაქტები. ამჟამად სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 47-ჯერ აღემატება 1913 წლის დონეს, ხოლო 1940 წლის დონეს 5,2-ჯერ გადააჭარბა. დიდი რუსი ხალხისა და ყველა ხალხის უანგარო დახმარების შედეგად საბჭოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკაში შეიქმნა მძლავრი ჰიდროენერგეტიკული მეურნეობა. ახლა სომხეთის ელექტროსადგურები უშვებენ იმდენ ენერგიას, რომ ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის გამომუშავების მხრივ სომხეთმა გაუსწრო საფრანგეთს, იტალიას და იაპონიას.

დიდად განვითარდა სომხეთის სოფლის მეურნეობა. საკოლმეურნეო წყობილებამ ძირეულად შეცვალა გლეხის შრომის პირობები და ყოფაცხოვრება. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე თანამედროვე ტექნიკა მივიდა. ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა 85 პროცენტს ახლა მანქანები ასრულებენ. საბჭოთა ხელისუფლების წლებში სამჯერ და უფრო მეტად გადიდდა ვენახებისა და ხეხილის ბაღების ფართობები. დიდად გაიზარდა ძვირფასი კულტურების ბამბის, შაქრის ჭარხლის, გერანის და თამბაქოს ნათესები.

საქართველოს მშრომელებს ახარებთ მოძმე სომეხი ხალხის ეს ღირსშესანიშნავი წარმატებანი. ამ ორი ძმაძმე ხალხის მეგობრობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს, მაგრამ იგი უფრო განმტკიცდა ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად. სოციალისტური სამშობლოს შემდგომი ძლიერებისათვის ერთმანეთს ეჯიბრებიან სომხეთისა და საქართველოს საწარმოთა კოლექტივები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ეს შეჯიბრება კიდევ უფრო გაფართოვდა დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად, და წარმატებები სამაგალითოა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებაში ვკითხულობთ:

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება! დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ!

საბჭოთა სომხეთის მიერ მოპოვებული წარმატებანი ცხადყოფენ ჩვენი სოციალისტური მრავალეროვანი სახელმწიფოს, მის შემადგენლობაში შემავალი ყველა რესპუბლიკის განვითარების საერთო კანონზომიერებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განუწყვეტლივ ზრუნავს იმისათვის, რომ მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ძმური მეგობრობა. პარტიის XX ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოების შესახებ ქმნიან პირობებს ახალი წარმატებისათვის მათს ცხოვრებაში, ხელს უწყობენ სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას.

ხალხთა შორის მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის, კომუნიზმის მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად აღაფრთოვანებს საბჭოთა ხალხს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებანი.

გაუმარჯოს და აყვავდეს სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა — ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების წყარო!

გარეუბნის რაიონმა ყურძნის დამზადების გეგმა შეასრულა

გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 10 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ყურძნის დამზადების გეგმა. სახელმწიფოს ჩააბარეს 1.058 ტონა ყურძენი.

დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ 130 ტონა ყურძენი.

ყურძნის დამზადება გრძელდება. (საქდესი).

გალის რაიონის კოლმეურნეობებმა თამბაქოს დამზადების გეგმა შეასრულეს

გალის რაიონის კოლმეურნეობებმა, იბრძვიან რა დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად, 18 ოქტომბრისათვის ვადამდე 101 პროცენტით შეასრულეს თამბაქოს დამზადების გეგმა.

თამბაქოს დამზადება გრძელდება. (საქდესი).

ქუთაისის რაიონმა ბოსტნეულისა და ხილის დამზადების გეგმა შეასრულა

ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა, მონაწილეობენ რა დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, 16 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ბოსტნეულისა და ხილის დამზადების გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 1.126 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარეს 1.132 ტონა ბოსტნეული. გეგმით გათვალისწინებული 1.100 ტონის ნაცვლად — 1.137 ტონა ხილი.

ბოსტნეულისა და ხილის დამზადება გრძელდება. (საქდესი).

კასპისა და ცხაკაიას რაიონებმა სიმინდის დამზადების გეგმა შეასრულეს

კასპისა და ცხაკაიას რაიონების კოლმეურნეობებმა 16 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სიმინდის დამზადების გეგმა.

სიმინდის დამზადება გრძელდება. (საქდესი).

დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის შესახვედრად

სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგარეო საქმეთა მინისტრ ამხანაგ ა. გრომიკოს

ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, ამხანაგო მინისტრო, ჩემი გულითადი მადლობა თქვენი მეგობრული მოლოცვისათვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მე-8 წლისთავის გამო.

ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის დიდი მეგობრობა წარმოადგენს მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების დაცვის მძლავრ ძალას. ჩვენ უფრო განვამტკიცებთ ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობას და განვახორციელებთ საერთაშორისო მეგობრული თანამშრომლობის განვითარებისა და მთელ მსოფლიოში ხანგრძლივი მშვიდობის განმტკიცების შეუნელებელ ღონისძიებებს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი
ჯოუ ენ-ლაი.

1957 წლის 15 ოქტომბერი. პეკინი.

საგარეო სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს
ამხანაგ კ. ვოროშილოვს
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს
ამხანაგ ნ. ხრუშჩოვს
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს
ამხანაგ ნ. ბულგანინს

ჩინელი ხალხის, ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით გიძღვნით თქვენ და თქვენი მეშვეობით დიდ საბჭოთა ხალხს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას ჩვენს გულითად მადლობას მეგობრული მოლოცვისათვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მე-8 წლისთავის გამო.

საბჭოთა ხალხი ყოველთვის იჩენდა და იჩენს უაღრესად დიდ სიმპათიას და შეუდარებელ დახმარებას უწევს ჩინელ ხალხს, რომელიც მიდის მთავარი გზით, დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ რომ გაკაფა. სახალხო-დემოკრატიული რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის მსვლელობაში ჩინელი ხალხი ყოველთვის დააფასებს საბჭოთა ხალხის ძმურ მეგობრობას და კვლავაც გულმოდგინედ შეისწავლის საბჭოთა ხალხის ძვირფას გამოცდილებას რევოლუციისა და მშენებლობაში, რათა ძლევამოსილად დაამთავროს სოციალისტური რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის სასახელო საქმე.

ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის 800-მილიონიანი ხალხის დიდი ერთიანობა უკვე გახდა საბჭოთა კავშირის მეთაურობით სოციალიზმის ბანაკის დარაზმვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი და მთელი მსოფლიოს მშვიდობის მძლავრი ბურჯი. ჩვენ საბჭოთა ხალხთან ერთად ყოველთვის გავაერთიანებთ მთელი მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანასა და მშვიდობისმოყვარე ხალხს ერთობლივ საბრძოლველად მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვისა და კაცობრიობის პროგრესის საქმისათვის.

გულმხურვალედ აღვნიშნავთ რა ჩვენი ხალხის დიდ დღესასწაულს, უდიდესი სიხარულით ვხედავთ, რომ საბჭოთა ხალხი ბრწყინვალე მიღწევებით და უმაგალითო ენთუზიაზმით ხვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს. ჩვენ გვსურს ვისარგებლოთ ამ შემთხვევით, რათა საბჭოთა ხალხს ვუსურვოთ უფრო მეტი წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვის საქმეში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე მაო ძე-დუნი.

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ლიუ შაო-ცი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი
ჯოუ ენ-ლაი.

1957 წლის 15 ოქტომბერი. პეკინი.

საგარეო სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ამხანაგ ა. გრომიკოს

ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, ამხანაგო მინისტრო, ჩემი გულითადი მადლობა თქვენი მეგობრული მოლოცვისათვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მე-8 წლისთავის გამო.

ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის დიდი მეგობრობა წარმოადგენს მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების დაცვის მძლავრ ძალას. ჩვენ უფრო განვამტკიცებთ ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობას და განვახორციელებთ საერთაშორისო მეგობრული თანამშრომლობის განვითარებისა და მთელ მსოფლიოში ხანგრძლივი მშვიდობის განმტკიცების შეუნელებელ ღონისძიებებს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი
ჯოუ ენ-ლაი.

1957 წლის 15 ოქტომბერი. პეკინი.

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ბირმის კავშირის საგანგებო და სრაულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში უ ჩინი

18 ოქტომბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ბირმის კავშირის ელჩი უ ჩინი, რომელმაც მას გადასცა ბირმის პრემიერ-მინისტრის უ ნუს წერილი სსრ კავშირში დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვებასთან დაკავშირებით.

ნ. ა. ბულგანინმა გულთბილი მადლობა გადაუხადა ელჩს და სთხოვა გადასცეს პრემიერ-მინისტრს უ ნუს საბჭოთა მთავრობის მადლობა მისი მოლოცვისათვის. (საკდესი).

ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის უ ნუს წერილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისადმი

ნება მიბოძეთ გადმოგცეთ თქვენ და რუს ხალხს ჩემი გულწრფელი მოლოცვა დედამიწის პირველი თანამგზავრის გაშვებაში თქვენი წარმატების გამო. ეს მიღწევა, რომელიც ახალ ერას იწყებს ადამიანის მიერ სივრცის დაპყრობასა და მსოფლიოს შეცნობაში, წარმოადგენს ერთ-ერთ იმ მიღწევას, რომლითაც ჭეშმარიტად შეუძლია იამაყოს არა მარტო რუსმა ხალხმა, არამედ მთელმა კაცობრიობამაც.

რწმენას გამოვთქვამ, რომ აღმოჩენები, რომლებიც გარდუვალად მოჰყვება ამ ნაბიჯს, რომელიც მოასწავებს ეპოქას ცოდნისადმი ადამიანის მისწრაფებაში, უდიდეს დახმარებას გაუწევენ მთელი კაცობრიობის ბედნიერებისა და აყვავების უზრუნველყოფის საქმეს.

რანგუნი, 1957 წ. 15 ოქტომბერი.

ერევანი დღეს

ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ერევნის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენდა უბადრუკი კინოთეატრი „პოლო“ და ცნობილი ქალაქის საათი, რომელიც ერევნის კომენდატურის შენობაზე იყო დადგმული. ახლა ამ ადგილზე ლენინის მოედანია. ერევნის მთელ მაშინდელ „ინდუსტრიას“, გარდა საცოდავი კუსტარული სახელოსნოებისა შეადგენდა რუსი ვაჭრების შუსტოვების კონიაკის ქარხანა.

ასეთი იყო ერევანი ალბათ 1827 წელს, როცა გენერალ პასკევიჩის რუსთა ჯარები შევიდნენ ჩვენს ქალაქში, ასეთი იყო ის დაშნაკების ბატონობის სისხლიან წლებში, ასეთი იყო, როცა 1920 წლის შემოდგომაზე სომხეთში შემოვიდა ახალი ცხოვრების გაზაფხული.

...ამწეს სართულზე აეკვს რკინაბეტონის ფილა. გოგონამ სართულზე ფილას ჩამოაშორა ტრავერსები, და განთავისუფლებული ამწე აგუფუნდა, ამაყად აღმართა თავისი ისარი ამშენებლობის პროცესში მყოფ სახლზე.

ერევანი განუწყვეტლივ, ყოველდღიურად შენდება.

სახახლეების, სკოლების, ინსტიტუტების, კლუბების, ძეგლების, შადრევნების, თეატრების, ბიბლიოთეკების, მოედნების, ქარხნებისა და საცხოვრებელი სახლების მონუმენტური წყებით წარმოგვიდგება ჩემი ქვეყანა, რომელიც ახალგაშენებულ ბაღებშია ჩაფლული.

მწვანით მოსილი, კეთილშობილი ქვითა და მინით მბრწყინავი წარმოგვიდგება ერევანი, რომელმაც კოპწია ქალაქის სახელი მოიხვეჭა.

ჯერ კიდევ რევოლუციის პირველ წლებში ალექსანდრე ტამანიანმა, ქვეყნის შესანიშნავმა არქიტექტორმა, რომლის გეგმითაც შენდება ახლა „დიდი ერევანი“, სამშობლოში ჩამოსულისას ქალაქს რომ გადახედა, სინანულით წარმოთქვა:

— სომხეთს არა აქვს თავისი დედაქალაქი, იგი უნდა აშენდეს.

ჩვენ ახლა შეგვიძლია ვთქვათ: იგი გვაქვს. იგი შექმნილია საბჭოთა ხელისუფლების მიერ, ლენინის გენიით, შრომისმოყვარე ხომეხი ხალხის მიერ...

ძველი დაბა ნორკი თავისი ხეხილის ბაღებისა და ვენახების მასივებით, ლამაზი აგარაკებით, დასასვენებელი სახლებით უკვე შემოვიდა ქალაქის ფარგლებში, შეუერთდა მას. ცენტრიდან ჩრდილოეთით იმყოფება სტუდენტთა ქალაქი. ლამაზი მრავალსართულიანი შენობები დათმობილი აქვს სასწავლო კორპუსებს, ლაბორატორიებს, სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებს. აქ თავმოყრილია ათამდე უმაღლესი სასწავლებელი. ხოლო იმ ადგილზე, სადაც ჩვენს მამებს ახსოვთ ვიწრო, ჭუჭყიანი ქუჩები, პატარა აღმოსავლეთის ტიპის შენობებით, ფარდულებითა და მცირე სავაჭროებით — წამოიზიმა საცხოვრებელი სახლებისა და დაწესებულების კორპუსები...

შენობებით გარშემორტყმული ლენინის მოედანი, რომლის ცენტრში აღმართულია საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის დიდი ლენინის მონუმენტი, განუმეორებელი სილამაზისა და მონუმენტალობის არქიტექტურული ანსამბლით ერთ-ერთი ულამაზესია კავშირის ქალაქთა მოედნებს შორის.

შემდეგ საათაც არ უნდა გაიმგზავროთ, ქალაქის რომელ კუთხეშიც არ უნდა მიგიყვანონ, რაც არ უნდა ნახოთ — ყველაფერი ახალია. ყველაფერი საბჭოთა ხელისუფლების დროს, ხუთწლედების წლებში, ომის შემდეგ წარმოიშვა.

ქვის პაწაწინა ნიჟარებიდან ჩქეფს ვერცხლისფერი ნაკადი ანკარა ცივი წყლისა. ერევანში რომ წყურვილი მოიკლას ადამიანმა, მან მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯი უნდა გადადგა პირველ შადრევნამდე.

გვერდით მიჭრილან ავტომანქანები, ტროლეიბუსები, წკრიალებს ტრამვაი, მაგრამ ისინი ვერ ახშობენ ნიჟარაში წყლის რაკრაკს.

...ლამაზია ქალაქი ერევანი. ხვალ იგი უფრო ლამაზი იქნება.

ლ. გურუნცი,
მწერალი.

სახალხო ზეიმი ყვარელში

ყვარელი, 19 ოქტომბერი. (საქდესი). ჩვეულებრივზე ადრე გაიღვიძეს დღეს ყვარელელებმა. ეს სავსებით გასაგებია. დღეს — ისინი აღნიშნავენ სახელოვანი თანამოფლელის — დიდი ქართველი მწერლისა და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის ი. ჭავჭავაძის დაბადების 120 წლისთავს.

სადღესასწაულოდ არის მორთული ყვარელი. სახლებზე ფერად-ფერადი ალმებია. ხეების გასწვრივ გაჭიმულია ილუმინაციის ნათურები.

დილიდანვე გამოცოცხლებულა ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში. ჯგუფებად და ცალცალკე მოდიან ახლომახლო სოფლებისა და რაიონების მცხოვრებლები, სტუმრები თბილისიდან და მოძმე რესპუბლიკებიდან. ყურადღებით და სიყვარულით ათვალიერებენ ისინი სახლ-მუზეუმის ექსპონატებს. რომლებიც თანმიმდევრულად გვიჩვენებენ ჰუმანიზმის, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის მაღალი იდეების მჭადაგებლის ი. ჭავჭავაძის მრავალფეროვან მოღვაწეობას. სახლ-მუზეუმს შეემატა ახალი ექსპონატები. მათ შორის არის ი. ჭავჭავაძის პორტრეტი მთელი ტანით, რომელიც შეასრულა მხატვარმა ქ. მაღალაშვილმა, უ. ჯაფარიძის ილუსტრაციები ი. ჭავჭავაძის პოემა „ალკო ყაჩაღისათვის“ და ლ. გუდიაშვილის ილუსტრაციები მოთხრობისათვის „აკაცია-ადამიანი?!“.

მნახველები ინტერესით ეცნობიან სტენდს „საქართველოს მოამბე“, სადაც წარმოდგენილია რევოლუციონერი დემოკრატების პორტრეტები და მათი აზრი ყურნარ „საქართველოს მოამბეზე“. ახალ ექსპონატთა შორის არის უკრაინულ ენაზე ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებ...ა მთარგმნელის პ. გრაბოვსკის პორტრეტი.

განხორციელდა ი. ჭავჭავაძის ოცნება — ბედნიერი და თავისუფალი გახდა მისი სამშობლო. შეიცვალა მისი მშობლიური სოფლის ცხოვრებაც. აქ გაიზარდნენ ახალი ადამიანები. მათს წარმატებებზე მოგვითხრობს სტენდი „ყვარლის რაიონის წარჩინებული ადამიანები“.

ექსპონატების დათვალიერების შემდეგ მნახველები იკრიბებიან სახლ-მუზეუმის ეზოში. აქ საზეიმო ვითარებაში საძირკველი ჩაეყარა ი. ჭავჭავაძის ძეგლს.

ახლოვდება სახელოვანი იუბილესადმი მიძღვნილი მიტინგის დაწყების დრო. დღის ხუთი საათისათვის სადღესასწაულოდ მორთულ სტადიონზე შეიკრიბნენ პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, თბილისიდან და მოძმე რესპუბლიკებიდან ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ჩამოსული სტუმრები.

ტრიბუნაზე არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. დ. ჩუბინიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. ი. კუბავა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი თ. ბ. ჯანელიძე, ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი, მოძმე რესპუბლიკათა მწერლების წარმომადგენლები.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ყვარლის რაიკომის მდივანმა ა. ავაზაშვილმა. იგი ლაპარაკობს ქართველი ხალხის დიდ სიყვარულზე თავისი სახელოვანი შვილისადმი, ვისი ხსოვნაც ბრძოლასთან სამშობლოს ბედნიერებისათვის, მშრომელი ხალხის თავისუფალი მომავლისათვის, ქართული კულტურის აყვავებისათვის, ხალხთა მეგობრობისათვის. შემდეგ იგი ამბობს, რომ იუბილეს დღეები დაემთხვა ყვარლის რაიონის მშრომელთა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანის მზადებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის. რაიონის საკოლმეურნეო მინდვრების მშრომელები ისწრაფვიან აღნიშნონ ეს დღეები ახალი წარმატებებით საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სიტყვა ეძლევა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის მდივანს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს გ. ლეონიძეს. იგი ახასიათებს ილია ჭავჭავაძეს როგორც გამოჩენილ საზოგადო მოღვაწესა და ქართული რეალისტური ლიტერატურის ფუძემდებელს, რომლის ღრმა იდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებებით იზრდებოდნენ და იზრდებიან საქართველოში მთელი თაობები.

ამხ. ლეონიძე ამბობს, რომ ასრულდა ილია ჭავჭავაძის დიდი ოცნება, საბჭოთა ხალხების ერთიან ოჯახში წარმატებით ვითარდება მისი საყვარელი სამშობლო საქართველო.

რუსეთის სფსრ საბჭოთა მწერლების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა მწერალმა გ. მარკოვმა.

— გამოჩენილი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა, — ამბობს ამხ. მარკოვი, — შევიდა სსრ კავშირის მოძმე ხალხების ლიტერატურის საგანძურში. მის მხატვრულ და პუბლიცისტურ შედევრებს დედაენაზე კითხულობენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. ილია ჭავჭავაძე არის ხალხთა მეგობრობის გამოჩენილი მგოსანი.

უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირის სახელით მისასალმება წარმოთქვა მწერალმა დ. კოსარიკმა. იგი ამბობს, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედება ერთნაირად ძვირფასი და მახლობელია ყველა საბჭოთა ადამიანისათვის. მღელვარებით ლაპარაკობს ამხ. კოსარიკი უკრაინელი და ქართველი ხალხების დიდ მეგობრობაზე, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მეგობრობაზე.

ბელორუსი მწერლების სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ა. ველიუგინმა.

ტრიბუნაზეა პოეტი ს. შანშიაშვილი. მან წაიკითხა ი. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ლექსები.

რაიონის ახალგაზრდობის სახელით გამოვიდა ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლე მ. ბოტელაშვილი.

მიტინგის შემდეგ გაიმართა სახალხო ხეირობა. ხელოვნების ოსტატთა და მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივთა გამოსვლები.

ოქტომბრის მეის ექვეშ იფურჩქნება და ჰყვავის ეროვნული

მრეწველობა აღმავლობის გზაზე

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში რესპუბლიკაში სწრაფად ვითარდებოდა მრეწველობა, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობა. შექმნილია ენერგეტიკული, ქიმიური, მეტალურგიული, მანქანათმშენებელი, სამთამადნო, საშენ მასალათა, მსუბუქი, სასურსათო მრეწველობა და მრეწველობის სხვა ახალი დარგები.

უკანასკნელ ხანს აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 100-ზე მეტი სამრეწველო ობიექტი, მათ შორის: სევანის, გიუმაშის და არზნის ჰიდროელექტროსადგურები, ელექტრონათურის, კონიაკის, შამპანური ღვინოების, შიფერის, ცეცხლგამძლე აგურის ქარხნები, სართავი კომბინატი. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ათვისებულია 350 სახეობაზე მეტი ახალი პროდუქცია.

სომხეთის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1957 წელს შეადგენს 6,2 მილიარდ მანეთს, მათ შორის სომხეთის ეკონომიური რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში 5,3 მილიარდ მანეთს. რესპუბლიკაში შექმნილია მძლავრი ენერგეტიკული ბაზა. რამდენიმე წვრილი ელექტროსადგურის ნაცვლად, რომლებიც კერძო კომპანიებს ეკუთვნოდა, ამჟამად სომხეთში მოქმედებს 120 ელექტროსადგური. ყოველწლიურად იწყებს მოქმედებას ახალი და ახალი სიმძლავრეები. ახლა რესპუბლიკის ელექტროსადგურები იძლევიან 450-ჯერ მეტ ელექროენერგიას, ვიდრე 1913 წელს. ენერგეტიკის საფუძველზე ფართო გასაქანი ჰპოვა ენერგოტევადმა ქიმიურმა მრეწველობამ. ამჟამად სომხეთში მუშაობენ სინთეზური კაუჩუკის, ქიმიური, რეზინა-ტექნიკური ნაწარმის და სხვა ქარხნები.

სომხეთის მრეწველობაში მნიშვნელოვანია ფერადი მეტალურგიის ხვედრითი წონა. მადანთა შორის წამყვანი ადგილი უჭირავს მოლიბდენსა და სპილენძს. სომხეთში მნიშვნელოვანი რაოდენობით აღმოჩენილია აგრეთვე თუთია, ტყვია და სხვა ფერადი და იშვიათი ლითონები.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მანქანათმშენებლობა, რომელიც 1957 წელს ქვეყანას მისცემს მთელი სამრეწველო პროდუქციის 17 პროცენტს. სომხეთში მზადდება ტრანსფორმატორები, გენერატორები, მოძრავი ელექტროსადგურები, ელექტროძრავები, ჰიდროტურბინები, კომპრესორები, სახარატე და საბურღავი დაზგები, საბავშვო ველოსიპედები, ავტოსათადარიგო ნაწილები.

რესპუბლიკაში დიდი განვითარება ჰპოვა საშენ მასალათა მრეწველობამ, რომელსაც საკავშირო მნიშვნელობა აქვს. სომხეთის საშენ მასალათაგან განთქმულია ტუფის ქვა, რომლის მარაგი ამოუწურავია. მრავალი ფერის, განსაკუთრებით ვარდისფერ არტიკის ტუფს იყენებენ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. გამოანგარიშება გვიჩვენებს, რომ სომხეთის ტუფს, გატანილს დიდ მანძილზეც კი, შეუძლია ღირებულების მხრივ კონკურენცია გაუწიოს ადგილობრივ აგურსა და სხვა საკედლე მასალას, რომ აღარა ვთქვათ რა მასალის მაღალ ხარისხსა და განსაკუთრებულ სილამაზეზე.

ძვირფასია მსუბუქი შემავსებელი — ვულკანური მინქაფა, რომლის სამრეწველო საბადო სომხეთში ათობით ითვლება. აქაურ მინქაფას მშენებლობაში იყენებენ შორს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. მოიპოვება უაღრესად ლამაზი ფერის მარმარილოს მდიდარი საბადოები, აგრეთვე კირქვის, დოლომიტის, გრანიტის, ბაზალტისა და სხვა საშენ მასალათა საბადოები.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში შექმნილია მრეწველობის ახალი დარგი — ხელსაწყოთმშენებლობა. მოქმედებს ერევნის ზუსტი ელექტროხელსაწყოების ქარხანა, რომელიც უშვებს მიკროამპერმეტრებს, რაც აუცილებელია ელექტრომრეწველობის მოწყობილობის კომპლექციისათვის. ერევნის ხელსაწყოთმშენებელი ქარხანა უშვებს სხვადასხვა ტიპის პიროომეტრიულ ხელსაწყოებს.

მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების შესახებ კომუნისტური პარტიის მითითებათა თანმიმდევრული განხორციელების წყალობით მძიმე მრეწველობის საერთო პროდუქცია 1940 წელთან შედარებით გაიზარდა 11-ჯერ და შეადგინა რესპუბლიკის მთელი მრეწველობის საერთო მოცულობის დაახლოებით 60 პროცენტი.

მძიმე მრეწველობასთან ერთად რესპუბლიკაში სწრაფად ვითარდება აგრეთვე მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის და სატყეო მრეწველობა, რომლებიც ყოველწლიურად იძლევიან ასობით სახეობის პროდუქციას. სომხეთის მრეწველობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კვების მრეწველობას.

სწრაფად ვითარდება აგრეთვე მსუბუქი მრეწველობა. სომხეთის მეორე სამრეწველო ცენტრში — ლენინაკანში მუშაობენ მსხვილი საფეიქრო კომბინატი და წინდის ფაბრიკა. ერევანში მუშაობს ტყავის ქარხანა, ფეხსაცმლის სამი ფაბრიკა, აბრეშუმის კომბინატი, მაუდის ფაბრიკა და მრავალი სხვა საწარმო. მსუბუქი და კვების მრეწველობა სისტემატურად აკარებს თავის საწარმოო გეგმებს. საკმარისია ითქვას, რომ მრეწველობის აღნიშნულმა დარგებმა 1957 წლის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 299 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილები, 113 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, 326 ტონა შაქარი, 233 ტონა კარაქი, 500 ტონა ხორცი, 635 ტონა ყველი.

1958 წლისათვის გათვალისწინებულია მრეწველობის შემდგომი ზრდა. მთლიანად სომხეთის ეკონომიურ რაიონში საერთო პროდუქციის გამოშვება გაიზრდება 13,7 პროცენტით იმასთან შედარებით, რაც მიმდინარე წლის გეგმით არის ნავარაუდევი. 1958 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მძიმე მრეწველობის განვითარებას. შესაბამისად გაიზრდება მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის გამოშვება.

სომხეთის მრეწველობა წლითიწლობით განუწყვეტლივ იზრდება და სრულყოფილი ხდება. ამას ხელს უწყობს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ახალი საორგანიზაციო ფორმები, რომლებმაც ფართო გზა გაუხსნეს სოციალისტური მრეწველობის კიდევ უფრო სწრაფ აღმავლობას.

საბჭოთა სომხეთის მშრომელები, ეგებებიან რა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან თანამეგობრობით ახალ წარმატებებს მოიპოვებენ კომუნიზმის მშენებლობაში.

ლ. ერზინკიანი,
სომხეთის სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.



ლენინის სახელობის ელექტრომანქანათმშენებელ ქარხანაში. სურათზე: ტრანსფორმატორის აწყობა. ფოტო ბ. ნემრუტისა.

ლაპარაკობენ შრომის გმირები

სამშობლოს ძლიერებისათვის

ჯერ არ ყოფილა ისეთი წელი, რომ ჩვენს კოლმეურნეობას არ მოეყვანოს ბამბის უხვი მოსავალი. ჰექტარზე 30-40 ცენტნერი ბამბის მიღება ჩვენთან ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. და ეს გასაგებიც არის: ყველა ჩვენს მებამბეს შეგნებული აქვს, რომ ბამბა საერთო-სახალხო სიმდიდრეა, რომ იგი ძვირფასი ნედლეულია მრეწველობისათვის.

სწორედ ამიტომ მიმდინარე წლის დასაწყისში ჩვენი მებამბეები უფრო მონდომებით მუშაობდნენ დიდი მოსავლის მისაღებად. ხომ უნდა მიეძღვნას ღირსეული საჩუქარი დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს!

იმისათვის, რომ შეგვესრულებინა ჩვენი დანაპირები, ბამბის მინდვრები გულმოდგინედ და სიყვარულით დავამუშავეთ: 5-6 ჯერ გავმარგლეთ და გავაფხვიერეთ, რამდენჯერმე ჩავატარეთ დამატებითი კვება, ხოლო მექანიზატორებმა ექვსჯერ აწარმოეს კულტივაცია.

ახლა ჩვენთან მოსავლის მასობრივი აღების დღეებია. ყველა კოლმეურნე მინდვრად გამოვიდა. გაშალეს რა წინასოქტომბრო შეჯიბრება, ბამბის ყველა მკრეფავი დღიურ ნორმას გადაჭარბებით ასრულებს. სამუშაო დღის განმავლობაში ბევრი 100-150 კილოგრამ ბამბას კრეფს, რითაც 2-3 საწარმოო ნორმას ასრულებს.

ჩვენს პლანტაციებში ჯერ კიდევ ბევრი ბამბაა ასადები. ჯერჯერობით მოსავლის მხოლოდ ნახევარი ავიღეთ. 25 ოქტომბრამდე თვითეულ ჰექტარზე ავიღებთ 25 ცენტნერ ბამბას, რითაც შევასრულებთ მოსავლიანობის წლიურ გეგმას. ამის შემდეგ თვითეულ ჰექტარზე ავიღებთ კიდევ 9-10 ცენტნერ ძვირფას ნედლეულს.

ჩვენი რგოლის ნაკვეთებზე მოსავალი უფრო დიდია. რამდენიმე წლის წინათ მაღალი მოსავლის მოყვანისათვის საბჭოთა მთავრობამ სოციალისტური შრომის გმირის წოდება მომანიჭა.

ეს საპატიო წოდება დიდ ვალდებულებას მაკისრებს და მე, ჩემი რგოლის წევრებთან ერთად, არ დავზოგავ ძალასა და ენერგიას, რათა ყოველთვის უხვი მოსავალი მივიღო. ამ სეზონში ჩვენი რგოლი პლანტაციის ყოველ ჰექტარზე მიიღებს 48-50 ცენტნერ ბამბას.

ა. არუთინიანი,
სოციალისტური შრომის გმირი, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ეჩმიაძინის რაიონის სოფელ შაუმიანის კოლმეურნეობის მერგოლური.

ა. არუთინიანი

ა. გასპარიანი

დიდი მიღწევებით

ბასარგეჩარის რაიონის სოფელ მეწმაზრის კოლმეურნეებმა და მექანიზატორებმა, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ გაშალეს ბრძოლა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

სოფელ მეწმაზრის კოლმეურნეობა 1.230 ჰექტარზე ამუშავებს მარცვლეულ კულტურებს. კოლმეურნეობას ემსახურება ჩემი სატრაქტორო ბრიგადა. ხვნას, თესვას და მოსავლის აღებას მთლიანად ჩვენ — მექანიზატორები ვატარებთ. თესვისა და ნათესების დამუშავების შემდგომი პროცესების მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ხაუკეთესო ვადებში ჩატარებამ ჩვენს მექანიზატორებსა და კოლმეურნეებს საშუალება მისცა მიეღოთ მარცვლეულის დიდი მოსავალი.

დაიწყო მოსავლის აღება. ყველა კომბაინერი და კოლმეურნე ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში, იბრძოდნენ უხვი მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის. მინდვრებზე გამოვიდა ოთხი კომბაინი. თვითეული კომბაინერი ყოველდღიურად ორ ნორმას ასრულებდა. 18 დღის განმავლობაში კომბაინებით მოსავალი ავიღეთ 1.230 ჰექტარზე. კომბაინერებმა ლუდვიგ გასპარიანმა, ვარაზდატ ასოიანმა და იშხან ნავოიანმა 17-18 დღის განმავლობაში მოსავალი აიღეს 300-400 ჰექტარზე თვითეულმა. მე ჩემი კომბაინით 16 დღეში მოსავალი ავიღე 430 ჰექტარზე. გავლეწე 7.083 ცენტნერი მარცვლეული. გარდა ამისა, 40 ჰექტარზე ავიღე სათესლე ესპარცეტის მოსავალი და 105 ჰექტარზე ორ ფაზად გავთიბე მარცვლეული.

მარცვლეულის ნათესების მთელ ფართობზე საშუალოდ გავლეწეთ 16,3 ცენტნერი მოსავალი, თითქმის 4 ცენტნერით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

მოსავლის აღების დამთავრებისთანავე კოლმეურნეობამ ყოველ გამომუშავებულ შრომადღეზე გასცა 7 კილოგრამი მარცვლეული.

მოსავლის აღების დღეებშივე დავიწყეთ საშემოდგომო თესვა. ჩვენს მექანიზატორებს არ დაუზოგავთ ძალა, რომ შემოდგომის თესვაც მოკლე ვადებში დაემთავრებინათ. ტრაქტორისტებმა რ. გრიგორიანმა და ს. სიმონიანმა ერთ დღეში დათესეს 30-40 ჰექტარი თვითეულმა. სულ 15 სამუშაო დღის განმავლობაში ჩვენმა ბრიგადამ დაამთავრა 850 ჰექტარის თესვა. ახლა საშემოდგომო ნათესები მწვანედ ბიბინებენ.

ა. გასპარიანი,
სოციალისტური შრომის გმირი, კომბაინერი, ბასარგეჩარის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი.

დედის სიტყვა

მახსოვს, როგორ ცხოვრობდა დედაჩემის ოჯახი. ოჯახი მრავალშვილიანი იყო. მუშაობდა მხოლოდ მამა, ვცხოვრობდით სოფლად, ძველ ქოხში, რომელიც ნგრევის პირამდე იყო მისული. რამდენიმე ბავშვზე ერთი წყვილი ფეხსაცმელი გვქონდა. უფროს ბიჭებს ნებას რთავდნენ ჩაეცვათ იგი მხოლოდ დღესასწაულების დროს. დედა ყოველთვის ჩაფიქრებული მახსოვს, რადგან არ იცოდა, როგორ გამოეკვება დიდი ოჯახი, არ იცოდა რა ელოდა მის შვილებს მომავალში.

მოვიდა ოქტომბერი. მან ბედნიერება შოუტანა დარიბ სომხურ ოჯახსაც. დედა წელში გასწორდა. იგი ამბობდა: — თქვენ, ბავშვებო, ჩვენზე უკეთ იცხოვრებთ, საბჭოთა ხელისუფლება ხალხის ხელისუფლებაა.

მე კარგად მახსოვს მისი სიტყვები. მათში დიდი სიმართლე იყო. საბჭოთა ხელისუფლება მშობლიური, სახალხო ხელისუფლებაა. მე და ჩემმა ქმარმა გამოვზარდეთ 13 შვილი. ამით ჩვენ ვამაყობთ. ყოველ საბჭოთა ადამიანს გახსნილი აქვს ცხოვრების ფართო, ნათელი გზა. ჩემი ქმარი რკინიგზელია. უფროსმა ვაჟებმა ვაჰანმა და ალბერტმა ათწლედი დაამთავრეს. ალბერტი განაგრძობს სწავლას, გადაწყვეტა გახდეს სპეციალისტი — კულინარი. ამჟამად იგი სპეციალურ სკოლას ამთავრებს. ვაჰანმა კი მამის პროფესია შეიყვარა და რკინიგზელი გახდა, ჩემი ოთხი უფროსი ქალიშვილი გათხოვილია, ჰყავთ შვილები, ცხოვრობენ უზრუნველყოფილად.

ჩვენს ოჯახში ექვსი მოსწავლეა, ფრიადოსნები — დედ-მამის სიამაყე. ყველაზე უმცროსი ბიჭი ხუთი წლისაა, იგი მალე წითელყელსახვევიანი პიონერი გახდება.

ახლა ჩვენ შეძლებულად ვცხოვრობთ, სახელმწიფოს დახმარებით ავიშენეთ სამოთახიანი კეთილ-მოწყობილი სახლი. სახელმწიფო მატერიალურად გვეხმარება, ბავშვების დაბადებისას ვიღებდი ერთდროულ დახმარებას ორიათას ხუთასი მანეთის ოდენობით, პატარა ბავშვისთვის ახლაც ვიღებ დახმარებას.

უბრალო საბჭოთა ქალი — დედა, ბედნიერი ვარ, რომ ვცხოვრობ ჩვეყანაში, სადაც ადამიანი ყველაზე ძვირფასი კაპიტალია. მე, ისევე როგორც მილიონობით სხვა საბჭოთა დედა, ვამბობ:

— მადლობა მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მზრუნველობისათვის, დაე დღითიდღე იფურჩქნებოდეს ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო.

ს. ვარტერესიანი,
გმირი დედა.

ლენინის მიერ ნაჩვენები გზით

ს. თოვმასიანი,
სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

ახლოვდება ღირსშესანიშნავი თარიღი — მე-40 წლისთავი დიდი ოქტომბრისა, რომელმაც ქვეყნიერებას ამცნო, რომ კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა, კაპიტალიზმის დამსხვრევისა და სოციალიზმის დამკვიდრების ერა. ჩვენი დიდი სამშობლოს ხალხები აჯამებენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე განხორციელებულ თავიანთ საგმირო საქმეთა შედეგებს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელი და ბელადი დიდი ლენინი მოუწოდებდა პარტიას და საბჭოთა კავშირის ხალხებს ებრძოლათ მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს ისტორიული მისიის შესრულებისათვის, სახელმწიფოსი, რომელიც მოწოდებულია გაკაფოს მთელი კაცობრიობის ბედნიერი მომავლის გზა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სახე უცვალა თავის თვალუწვდენ ქვეყანას, გადააქცია იგი მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელსაც მაღალი ინდუსტრიული ტექნიკა და მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოება აქვს. სსრ კავშირი მთელი კაცობრიობის მომავლის — კომუნიზმის ჩაუქრობელი შუქურაა.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში ბრძოლისა და გამარჯვებათა სახელოვანი გზა განვლო სომეხმა ხალხმაც.

წარსულში მეფის რუსეთის ჩამორჩენილი აგრარული განაპირა კუთხე, ხოლო პირველი იმპერიალისტური ომის წლებში იმპერიალისტ მტაცებელთა საჯიჯგნად მიტოვებული სომხეთი გადარჩა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მეოხებით და ისტორიულად მოკლე ვადაში გარდაიქმნა, გადაიქცა განვითარებული მრეწველობის, პროდუქტიული სოფლის მეურნეობისა და მაღალი კულტურის მქონე აყვავებულ რესპუბლიკად.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის მეოხებით, რუსი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ძმური დახმარების მეოხებით საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე რესპუბლიკაში შეიქმნა მძლავრი ჰიდროენერგეტიკული მეურნეობა და ახლა სომხეთის ელექტროსადგურები ერთ დღეში იძლევიან გაცილებით მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე მთელი 1913 წლის განმავლობაში იყო გამომუშავებული. ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის გამომუშავების მხრივ სომხეთმა გაუსწრო ისეთ ქვეყნებს, როგორიც არიან საფრანგეთი, იტალია, იაპონია.

საუკუნეობით ხელუხლებელი იყო წიაღისეული სიმდიდრენი. ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის გამოკვლეული, მაგრამ ბევრი რამის მოპოვება უკვე წარმოებს და ყველაფერი ეს ხმარდება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის საჭიროებებს. ჰიდროენერგეტიკული მეურნეობის ბაზასა და ადგილობრივი ნედლეული რესურსების გამოყენების ბაზაზე საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში შეიქმნა ქიმიური, ელექტროტექნიკური, მანქანათმშენებელი. ჩარხმშენებელი, მეტალურგიული მრეწველობა, საშენ მასალათა მრეწველობა.

დიდად განვითარდა რესპუბლიკის ფერადი მეტალურგია. რევოლუციამდე სომხეთის სპილენძის მრეწველობის ექსპლოატაციას ფრანგი კონცესიონერები ეწეოდნენ. ეს მრეწველობა იძლეოდა შავ სპილენძს, რომელიც მთლიანად გაჰქონდათ საზღვარგარეთ. ახლა სამთამადნო მრეწველობა გადაიქცა ფერადი მეტალურგიის დიდად განვითარებულ დარგად, რომელიც, გარდა სპილენძისა, იძლევა მოლიბდენს, ალუმინს და მთელ რიგ სხვა ლითონებს.

ჭეშმარიტად დაუშრეტელია რესპუბლიკის საშენ მასალათა მარაგი. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე სომხეთში შეიქმნა საშენ მასალათა მრეწველობა. სომხეთის ტუფი, ფილზიტი, მარმარილო ამკობს არა მარტო რესპუბლიკის ქალაქებს, დაბებსა და სოფლებს, არამედ მოძმე რესპუბლიკებშიც გააქვთ.

მნიშვნელოვანია სომხეთის სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობაში ხვედრითი წონა მსუბუქი და კვების მრეწველობისა, რომელიც რესპუბლიკაში ფართოდ განვითარდა.

ორი ციფრი მკაფიოდ ახასიათებს სომხეთის სამრეწველო განვითარებას. საბჭოთა ხელისუფლების წლებში სამრეწველო პროდუქციის მოცულობამ 47-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის დონეს, ხოლო ომამდელი 1940 წლის დონე უკვე 5,2-ჯერ არის გადაჭარბებული.

სომხეთში ეკონომიური რაიონის შექმნამ და სახალხო მეურნეობის საბჭოს ჩამოყალიბებამ გააძლიერა როლი და პასუხისმგებლობა ადგილობრივი ორგანიზაციებისა მრეწველობის და მშენებლობის მართვაში. ეჭვი არ არის, რომ პარტიის ეს უმნიშვნელოვანესი ღონისძიება შესაძლებლობას მოგვცემს დიდი ეფექტით განვავითაროთ სამრეწველო წარმოება და მშენებლობა რესპუბლიკაში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ძლიერ იცვალა სახე სომხეთის სოფლის მეურნეობამ. აღარ არის უმეცარი, უბადრუკი სომხური სოფელი, პრიმიტიული თავმჭინებებული სარწყავი არხები, უპატრონოდ მიტოვებული მიწები. საკოლმეურნეო წყობილებამ ძირეულად შეცვალა სომეხი გლეხის შრომის პირობები და ყოფაცხოვრება. ახალმა არხებმა შესაძლებელი გახადეს რამდენჯერმე გაგვედიდებინა სარწყავი მიწების ფართობი. საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მინდვრებზე თანამედროვე ტექნიკა მიიდა. ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა 85 პროცენტს ახლა მანქანები ასრულებენ. ასეთივეა რესპუბლიკის კოლმეურნეობების ელექტროფიკაციის პროცენტი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში სამჯერ და უფრო მეტად გადიდდა ვენახებისა და ხეხილის ბაღების ფართობები, ამასთან ვაზისა და ხეხილის გაშენება ახლა წარმატებით წარმოებს მთისპირა რაიონებშიც.

სომხეთის მიწაზე ახლა მოჰყავთ ისეთი ძვირფასი კულტურები, როგორიც არის ბამბა, თამბაქო, შაქრის ჭარხალი, გერანი.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის კომუნისტური პარტიის მიერ უკანასკნელ წლებში მიღებულმა ღონისძიებებმა უზრუნველყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, კერძოდ, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება, მევენახეობისა და მებოსტნეობის განვითარება.

კოლმეურნე გლეხობაში დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია კომუნისტური პარტიის მოწოდებამ — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს 1960 წელს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე აიყვანონ: ხორცისა (ცოცხალი წონით) —82 ცენტნერამდე, მათ შორის კოლმეურნეობებში — 57 ცენტნერამდე; რძისა — 350 ცენტნერამდე, მათ შორის კოლმეურნეობებში — 330 ცენტნერამდე. ეჭვი არ არის, რომ სომხეთის კოლმეურნეები ღირსეულად შეასრულებენ თავიანთ სიტყვას.

დიდმა ოქტომბერმა საფუძველი ჩაუყარა ახალი საზოგადოების ნამდვილად ხალხური სოციალისტური კულტურის შექმნას. სოციალისტური ეკონომიკის სწრაფად განვითარების საფუძველზე გაიფურჩქნა, აყვავდა სომეხი ხალხის ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურა.

სომხეთი უკვე დიდი ხანია გახდა წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის ქვეყანა. იგი მოწინავე მეცნიერების რესპუბლიკა გახდა. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში, რომელსაც სამეცნიერო-საკავშირო ინსტიტუტების განშტოებული ქსელი აქვს, შრომობს ბევრი გამოჩენილი მეცნიერი, რომლებიც საერთო-საკავშირო მნიშვნელობის სამეცნიერო პრობლემებს წყვეტენ.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე რესპუბლიკაში შეიქმნა სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, ბიბლიოთეკების, კლუბების, კულტურის სახლებისა და კინოთეატრების ხშირი ქსელი. რესპუბლიკაში გამოდის 90 გაზეთი და ჟურნალი, ბევრი წიგნი.

საბჭოთა სომხეთის მწერლები, რომლებიც განაგრძობენ და კრიტიკულად ავითარებენ ეროვნული კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებს, ქმნიან ნაწარმოებებს, რომლებშიც სიმართლით არის ასახული კომუნიზმის მშენებელთა გმირული შრომა და მაღალი მორალური სახე.

სომხური ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა, რომელიც გასულ წელს მოსკოვში გაიმართა, აღორძინებული ხალხის კულტურის ნამდვილი დღესასწაული, კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცხოველმყოფელი ძალის დემონსტრაცია იყო.

ორმოცი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის ხალხთა უდიდესი მონაპოვარია ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ურღვევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა და ძმური მეგობრობა, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის გრანიტის პრინციპებზეა დაფუძნებული.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების და სახელოვანი კომუნისტური პარტიის გენიალური ლენინური ეროვნული პოლიტიკის მეოხებით ამიერკავკასიის ხალხების — საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ხალხების საუკუნოვანი მეგობრობა დიდ რუს ხალხთან, ჩვენი დიდი ქვეყნის ყველა ხალხის მეგობრობა ურღვევი გახდა.

წარსულში არც ერთ ხალხს არ გაუცდია ისეთი სწრაფი აყვავება, როგორიც დამახასიათებელია საბჭოთა სოციალისტური ერებისათვის. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პერიოდში, სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის უმაგალითო განვითარების პირობებში, ისევე როგორც დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში, იზრდებოდა და მტკიცდებოდა ჩვენი დიადი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა ურღვევი მეგობრობა.

ასეთი მეგობრობის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია მეგობრობა მეზობელ სომეხ, ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხებს შორის. მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე სომეხ, ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხებს შორის მეგობრობა დუღაბდებოდა საერთო მტრების — უცხოელი დამპყრობლების, ხალხის ჯალათების — ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, ერთად დაღვრილი სისხლით.

ძმობასა და მეგობრობას უმღეროდნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პოეტები.

სომეხ, ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხებს შორის, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს შორის მეგობრობა ჩვენს დროში მტკიცდება და ვითარდება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საერთო-სახალხო ინტერესების ბაზაზე.

ოქტომბრის მაცოცხლებელი შუქით გაცისკროვნებულია საბჭოთა ხალხის ბედნიერი ცხოვრება. საბჭოთა კავშირის ხალხები არასოდეს არ დაიკიწყებენ, რომ ოქტომბრის დიდი ჩირაღდანი ანთო მათმა უფროსმა ძმამ—რუსმა ხალხმა, რუსეთის გმირმა მუშათა კლასმა, რომელმაც სსრ კავშირის ყველა ხალხს გაუწია უანგარო დახმარება საუკუნეობრივი ჩაგვრისაგან განთავისუფლებაში, ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

დიდია საბჭოთა ხალხის გამარჯვებანი. ისინი ქმნიან ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის ახალი, კიდევ უფრო მძლავრი აღმავლობის დაუშრეტელ შესაძლებლობებს.

თავისი სამშობლოსათვის, თავისი სახელოვანი კომუნისტური პარტიისათვის უდიდესი სიამაყის გრძნობით საბჭოთა ხალხი დიდი ჩინეთისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებთან ძმური თანამეგობრობით მტკიცე ნაბიჯით მიდის წინ ოქტომბრის რევოლუციის მიერ გახსნილი ნათელი გზით.

სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

ძმური დახმარება

დაზგათმშენებელთა შეჯიბრება

უკვე რამდენიმე წელია, რაც ერთმანეთს ეჯიბრებიან ერევნის ძერჟინსკის სახელობის და თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნები. ეს შემოქმედებითი შეჯიბრება, მოძმე რესპუბლიკების ორი საწარმოს კოლექტივების მეგობრობა გვეხმარება ტექნიკური პროგრესის საკითხების წარმატებით გადაჭრაში.

გამოცდილების შესასწავლად ქართველ დაზგათმშენებლებთან იყვნენ ჩვენი ტექნოლოგები, კონსტრუქტორები და ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკები. კიროველთა გამოცდილების გამოყენებით ჩვენ შევძელით ახალი უნივერსალური სახარატო-ხრახნსაჭრელი დაზგის წარმოების ათვისება.

თბილისის ქარხნის ხარატმა ა. აგაჯანოვმა შექმნა სპეციალური ვაზნა დეტალის მექანიზებული მომჭერით მისი დამუშავების დროს. ამ ტექნიკური სიახლის პრაქტიკული გამოყენება 20-25 პროცენტით ზრდის შრომის ნაყოფიერებას. კიროველებმა დიდი სიამოვნებით გადმოგვცეს ამ გაუმჯობესებული ვაზნის სამუშაო ნახაზები, აგრეთვე კბილსაჭრელი ინსტრუმენტის ნახაზები.

ჩვენი ქარხანაც ეხმარება კიროველებს. ჩვენ სიამოვნებით გადავეცით ქართველ დაზგათმშენებლებს მჭრელი ინსტრუმენტები, ნიკოპოროდუქტები.

როგორც ნამდვილ ძმებს, ისე ვხვდებით კიროველთა დელეგაციას ყოველი ჩამოსვლისას. ასეთივე სიხარულით გვხვდებიან თბილისელებიც. ჩვენი ორი კოლექტივის შეხვედრა მიმდინარეობს ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცების ნიშნით და მას სულ ახალი წარმატებები მოაქვს.

თ. გასპარიანი,
ამწყობი ზეინკალი,

ტ. ტუმიკიანი,
ხარატი.

ალავერდი — ზესტაფონი

სომეხ ხალხს, რომელიც აჯამებს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე ნამდვილად ზღაპრული წინსვლის შედეგებს, შეგნებული აქვს, რომ ეს მიღწევები კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების, საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური დახმარების შედეგია. მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა აკავშირებს ერთმანეთთან სომეხ და ქართველ მშრომელებს. ეს მეგობრობა ურღვევია.

ჩვენი რესპუბლიკის ბევრი ქარხანა, ფაბრიკა და კოლმეურნეობა ეჯიბრება ერთმანეთს. ალავერდის სპილენძ-ქიმიური კომბინატის კოლექტივმა წლის დასაწყისიდანვე დადო სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება მოძმე საქართველოს ზესტაფონის ქარხნის ფერომდნობელებთან.

ორივე საწარმოს მუშებმა და სპეციალისტებმა დაამყარეს მეგობრული კავშირი, გაცვალეს დელეგაციები. ამას წინათ სპილენძმდნობელები იყვნენ ზესტაფონის ქარხანაში, გაეცნენ წარმოებას, ფერომდნობელთა ცხოვრებასა და მუშაობას.

ჩვენი შეჯიბრების დაწყებიდან მხოლოდ ნახევარი წელი გავიდა, მაგრამ ამ მცირე დროის განმავლობაში განმტკიცდა ჩვენი ძმური მეგობრობა. ჩვენ ერთად განვიხილეთ, თუ რა უნდა გაგვაკეთებინა იმისათვის, რომ ეს ორი საწარმო ყველაზე მოწინავე ყოფილიყო.

ახრულებს რა ნაკისრ ვალდებულებას, სპილენძ-ქიმიური კომბინატის კოლექტივმა ათი თვის გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცა რამდენიმე ასეული ტონა სპილენძი.

მოხარული ვარ ვაცნობო ჩვენს ზესტაფონელ მეგობრებს, რომ მე, ისევე როგორც მთელ ჩვენი კოლექტივი, ვცდილობ დირსეულად შეეხვედე დიდი ოქტომბრის ოქტომბერი 40 წლისთავს, დნობის ხანგრძლივობის 4 საათით შემცირებით მივაღწიო სპილენძის გამოშვების 12 და უფრო მეტი პროცენტით გადიდებას კონვერტორის ერთი საათის მუშაობის განმავლობაში. შრომის მოწინავე მეთოდების გამოყენებით შევძელი მიმეღო თხევადი კონვერტორული წიდა, რომელშიც სპილენძი დაწესებულ ნორმაზე 10-15 პროცენტით ნაკლებია.

ვ. დალაქიანი,
ალავერდის სპილენძ-ქიმიური კომბინატის მეღუმელე.



კურორტი ირზნი, სანატორიუმის მთავარი კორპუსი.

მეცნიერთა მიღწევები

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბიურაკანის ასტროფიზიკური ობსერვატორიის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი ნინო ლეონიდოვა ათდუიმიან ტელესკოპზე სპექტროგრაფის დახმარებით განსაზღვრავს ვარსკვლავთა ტემპერატურას.

ფოტო ბ. ნემრუტისა.

• • •

რევოლუციამდე სომხეთში არც ერთი სამეცნიერო დაწესებულება არ ყოფილა. ცალკეული სომეხი მეცნიერები იძულებული იყვნენ სომხეთს გარეთ ეძებნათ სამუშაო.

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დაარსდა ერევნის უნივერსიტეტი, რამაც შესაძლებელი გახადა სამეცნიერო მუშაობის დაწყება. განხორციელებულ იქნა ენერგიული ღონისძიებანი სამეცნიერო კადრების მოსამზადებლად, შეიქმნა ახალი უმაღლესი სასწავლებლები. 30-იან წლებში უკვე გაჩნდნენ პირველი საკვლევი ინსტიტუტები.

1943 წელს დაარსებულ იქნა სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემია და მას შემდეგ განუწყვეტლივ ფართოვდება სამეცნიერო საქმიანობის მასშტაბები.

მეცნიერთა ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეში უდიდესი დახმარება გაგვიწიეს რუსმა მეცნიერებმა. მათთან მოსკოვსა და ლენინგრადში ასპირანტურაში იგზავნებოდა ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების ბევრი კურსდამთავრებული. დიდი როლი შეასრულა იმ გარემოებამაც, რომ მეცნიერების მუშაკი ბევრი სომეხი, რომლებიც რევოლუციამდე სომხეთს გარეთ ცხოვრობდნენ, ჩამოვიდა აქ ჩვენს სამეცნიერო დაწესებულებებში სამუშაოდ. სომხეთში მეცნიერების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს სომხეთის მეცნიერთა მუდმივ თანამშრომლობას საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების მეცნიერებთან. უნდა აღინიშნოს მუდმივი კავშირი და ურთიერთობა სომეხ და ქართველ მეცნიერთა შორის. განსაკუთრებით მჭიდრო თანამშრომლობა დამყარდა საქართველოსა და სომხეთის მეცნიერებათა აკადემიებს შორის. ეს თანამშრომლობა სულ უფრო ნაყოფიერ შედეგს იძლევა.

სომხეთის მეცნიერ მუშაკთა ბეჯითი მუშაობის შედეგად მიღებულია შედეგები, რომლებსაც სერიოზული მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ზუსტ და ტექნიკურ მეცნიერებათა განვითარებას. ამ დარგში გვაქვს თვალსაჩინო მიღწევები.

მათემატიკოსებმა, რომლებიც მუშაობენ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტში, რომელსაც სათავეში აკადემიკოსი შაღინიანი უდგას, გადაწყვიტეს მიახლოებათა თეორიისა და კომპლექსური ცვლადის ფუნქციების თეორიის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ამოცანები. შეიქმნა მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრი, რომელიც მოწოდებულია თანამედროვე გამომთვლელი მანქანების დახმარებით გადაჭრას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მათემატიკური ამოცანები. უკვე მეორე წელია ერევანში აკადემიკოს მერგელიანის ხელმძღვანელობით მუშაობს მათემატიკური მანქანების დიდი ინსტიტუტი, რომელიც ქმნის ახალი ტიპის სწრაფად მოქმედ ელექტრონულ გამომთვლელ მანქანებს.

საბჭოთა კავშირის ფიზიკოსებს შორის ფართოდ არის ცნობილი კოსმოსური სხივების გამოკვლევა, რომელიც აკადემიკოს ალიხანიანის ხელმძღვანელობით წარმოებს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშენდა ბიურაკანის ასტროფიზიკური ობსერვატორია. დღეისათვის მან მიაღწია საინტერესო შედეგებს ვარსკვლავების ფიზიკისა და ვარსკვლავთა სისტემების აღნაგობის შესწავლის დარგში. ობსერვატორიაში აღმოჩენილ „ვარსკვლავთა ასოციაციებს“ დიდი მნიშვნელობა აქვს ვარსკვლავთა წარმოშობის საკითხის გადაჭრისათვის. ბიურაკანის ობსერვატორიაში, ისევე როგორც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში, აღმოჩენილ იქნა ზოგიერთ დიფუზიურ ნისლოვანებაში სინათლის ძლიერი პოლარიზაციის მოვლენა.

ამ აღმოჩენამ და ამ მიმართულებით წარმოებულმა შემდგომმა კვლევამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ამ ნისლოვანებაში მოძრაობენ ასეულ მილიარდობით ელექტრონ-ვოლტის ენერგიის მქონე ელექტრონები. ამჟამად ბიურაკანში წარმოებს ფართო სამუშაოები რადიო-ასტრონომიის დარგში. შექმნილია ზემაღალი მგრძნობიარების ახალი რადიოასტრონომიული მიმღები მოწყობილობანი.

ჩვენი მეცნიერები დიდ ყურადღებას აქცევენ რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლას. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აღმოჩენილ მოლიბდენ-სპილენძის საბადოებს მსოფლიო მნიშვნელობა აქვს მოლიბდენით სიმდიდრის მხრივ. ამ საბადოებიდან ზოგიერთის ექსპლოატაცია უკვე წარმოებს. აღმოჩენილია აგრეთვე ფერადი და იშვიათი ლითონების, ძვირფას არამადნეულ წიაღისეულთა მრავალი სხვა საბადო.

სომხეთში განვითარებულია ორგანული სინთეზის მრეწველობა. დიდი მნიშვნელობა აქვს სინთეზური კაუჩუკის წარმოებას. ამასთან დაკავშირებით ორგანიკოსმა ქიმიკოსებმა მთელი რიგი ფრიად საინტერესო სამუშაოები შეასრულეს.

ქიმიკოსთა ჯგუფმა აკადემიკოს მნჯოიანის ხელმძღვანელობით მოახდინა მთელი რიგი ახალი სამკურნალო პრეპარატების სინთეზი. ეს პრეპარატები ახლა ფართოდ ინერგება სამედიცინო პრაქტიკაში. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს პრეპარატი „განგლერონი“, რომელიც განკუთვნილია სტენოკარდიის მკურნალობისათვის.

ფართო კვლევა წარმოებს ისტორიის, არქეოლოგიის, ენათმეცნიერების დარგში. ჩვენი არქეოლოგების აღმოჩენანი ფართოდ არის ცნობილი და ბევრი მათგანის შედეგები ისტორიის გავრცელებულ სახელმძღვანელოებში შეტანილი. სომხეთისა და საქართველოს ხალხების წარსულს ბევრი რამ აქვს საერთო. ამიტომ ბუნებრივია, რომ ორივე რესპუბლიკის მუშაკებს შორის მუდმივი კონტაქტი არსებობს. ეჭვეველია, რომ შემდეგში ეს თანამშრომლობა გაძლიერდება.

კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის მეოხებით, ჩვენი სამშობლოს ხალხთა მეგობრობის მეოხებით ჩვენ ბევრ რამეს მივაღწიეთ, მაგრამ ჩვენს წინაშე კიდევ უფრო გრანდიოზული ამოცანები დგას. საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის მეცნიერები, ერთ ოჯახად გაერთიანებულნი, მიაღწევენ ამ ახალი ამოცანების გადაჭრას.

ვ. ამბარცუმიანი,
სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი.

ათი წელი მუშაობისა

1947 წელს საბჭოთა სომხეთში რეპატრიირებულ იქნა სომეხთა დიდი ჯგუფი. ისინი ცხოვრობდნენ ირანში, ეგვიპტეში, სირიაში, ლიბანში, საბერძნეთში, ბულგარეთში, რუმინეთსა და სხვა ქვეყნებში. გლეხის, მუშის, ხელოსნის ბევრმა ოჯახმა ისარგებლა საბჭოთა მთავრობის მიერ მინიჭებული უფლებით, თავი დაანება უცხო მხარეში ხეტიალს და ჩამოვიდა სამშობლოში.

კერტიდან ჩამოსულთა დიდმა უმრავლესობამ მოისურვა სამშობლოშიც განეგრძო ჩვეული საქმე — მიწათმოქმედება, მეცხოველეობა. საბჭოთა სომხეთის მთავრობამ გამოჰყო ვრცელი ტერიტორია ახალი სოფლის აშენებლად, სადაც უნდა ეცხოვრათ და ეშრომათ ყოფილ კერტელ გლეხებს. სახელმწიფომ გაიღო დიდი თანხა, გამოჰყო საშენი მასალები, გაუწია ყოველმხრივი დახმარება. სახლებისა და სოფლის საწარმოო ნაგებობათა მშენებლობაზე ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად მუშაობდა სამოცამდე ოჯახი ირანიდან, ხუთი ოჯახი საბერძნეთიდან, სამი — ეგვიპტიდან. საცხოვრებელ ბინებთან ერთად შენდებოდა სკოლა, საავადმყოფო, ამბულატორია.

ახლა ერევნიდან რაიონულ ცენტრ ვედისაკენ შიმავალ საავტომობილო მაგისტრალზე გავლისას ადვილად შეამჩნევთ სომხურრ ტუფითა და ქვებით მრავალ ფერად მბრწყინავ დასახლებას. იგი ბაღებში და ვენახებშია ჩაფლული. მისკენ მიდის ელექტროგადაცემის ხაზები, რადიოს და ტელეფონის სადენები. ეს სოფელ ნორ კიანქის (ახალი ცხოვრების) კოლმეურნეობაა, სწორედ იმ სოფლისა, ირანის შორიულ სოფელ კერტის გლეხები რომ აშენებდნენ.

მაგრამ ისინი ის აღარ არიან, რაც იყვნენ ათი წლის წინათ. არუთინ ამირიანის ოჯახის მაგალითზე შეიძლება დავინახოთ ის გარდაქმნა, რომელიც წინათ ირანში მცხოვრებ გლეხების ცხოვრებაში მოხდა. კერტში ეს ოჯახი თერმეტი კაცისაგან შედგებოდა, ცხოვრობდა თიხის იატაკიან მიწურში. ნესტი და ჭუჭყი განუყოფელი დანამატი იყო ამ ქოხისა. ახლა ამირიანებს ქვიტკირის სამი სახლი აქვთ. ამასთან ოჯახის წევრები ამბობენ, ორ სახლს კიდევ ავაშენებთო. ოჯახში წამოიზარდა ხუთი ძმა. სამი მათგანი — კოლმეურნეობის მჭედელი ანდრანიკი, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ცატური და ავტომძღოლი ერვანდი—უკვე თავის საკუთარ ოჯახში ცხოვრობს. დანარჩენი ორი ძმა სკოლაში სწავლობს. იზრდებიან დებიც.

ოჯახის უფროსი არუთინ ამირიანი 72 წლისაა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ თავს არ ანებებს მუშაობას. სოფელიც ისე შეეჩვია მას, რომ ვერც კი წარმოუდგენია, რომ სხვამ და არა ძია არუთინმა დაარიგოს ყოველდღიური ფოსტა. დილით მხარზე ჩანთაგადაკიდებული მიდის იგი მტს-ში მორიგი ფოსტის მისაღებად, შემდეგ კი კოლმეურნეობაში არიგებს გაზეთებს, ჟურნალებსა და წერილებს.

სოფლის საბჭოში არუთინ ამირიანი ხშირად ადევნებს თვალყურს, თუ როგორ ზის, ლაპარაკობს, საუბრობს მისი შვილი ცატური. და მამაც ამაყობს შვილით.

- სოფლის შექმნის პირველივე დღეებიდან ცატურ ამირიანს უცვლელად ირჩევენ სოფლსაბჭოს თავმჯდომარედ. გასულ წელს კი იგი მიიღეს კომუნისტური პარტიის რიგებში.

ბევრი ყოფილი კერტელი გარდაიქმნა. სომხეთში ჩამოსვლამდე კაიცაკ პეტროსიანს, ჯანღონითა და ენერგიით სავსე ატლეტური აგებულების ადამიანს ვერ გამოეხსნა მუდმივი სამუშაო, ლუკმაპურის საშოვნელად ქალაქიდან ქალაქში დაეხეტებოდა.

— ვიყავი დურგალი და ქალატოზი, შოფერი და მეხექმე, — გადმომცა მან, — ყველგან ცოტას იძლეოდნენ. ოჯახის შექმნაზე ხომ ვერც კი ვიფიქრებდი. არ გამაჩნდა არც სახლი, არც მუდმივი სამუშაო. ახლა კი მე—კოლმეურნეობის შოფერს ორი-სამი წლის მარცვლეულის მარაგი მაქვს. ვიშენებ ორსართულიან სახლს—აქვს ოთახს. მყავს ცოლი და ორი შვილი.

მეორე მაგალითი — გრიგორ-უსტა. როდესაც მას წლოვანებას ჰკითხავენ, იგი ჩვეულებრივად უპასუხებს:

— სამოცდაათი წლისა ვარ, შრომადღე კი შვიდასი მაქვს. ეს ჩვენი საუკეთესო მწყემსი გრიგორ მურადიანია.

კოლმეურნეობამ წელს თავისი შემოსავალი ორ მილიონ მანეთამდე გაზარდა. მეცხოველეობის მხრივ რაიონში ერთ-ერთი პირველი ადგილი დავიკავეთ. წველადობის მხრივ ჩვენს ფერმებში უკვე მიაღწიეს 1960 წლის დონეს. კოლმეურნეობა განუწყვეტლივ აფართოებს საკვებ ბაზას, ჰექტარზე 100 ცენტნერამდე ზრდის ვენახის მოსავლიანობას, ავითარებს მეღორეობას და მეცხოველეობას.

ათი წელია მშობლიურ მიწაზე ცხოვრობენ ირანიდან, ეგვიპტიდან, საბერძნეთიდან რეპატრიირებული ოჯახები—ამჟამად სოფელ ნორ კიანქის XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრები.

ზ. პეტროსიანი,
კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ბოლოგიერ მეცნიერებათა კანდიდატი.

სურათზე: მოწინავე მკრეფავი პ. ცატურიანი, რომელიც ყურძნის კრეფის ყოველდღიურ დავალებას ორმაგად ასრულებს.

სომეხი ხალხის კულტურა

ა. შალინიანი,
სომხეთის სსრ კულტურის მინისტრი.

ისტორიამ გვიჩვენა, რომ ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების ერთადერთი გზა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გზაა. მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ, მხოლოდ საბჭოთა წყობილებამ მისცა ყველა ხალხებს ეროვნული აღორძინების საშუალება. დიდმა ოქტომბერმა ყოფილი მეფის რუსეთის ხალხებს, მათ შორის მრავალტანჯულ სომეხ ხალხსაც მოუტანა სრული ეროვნული თავისუფლება და აღორძინება.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების წყალობით საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ შეამჭიდროვა ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხები ერთიან ძმურ ოჯახად, განამტკიცა ურღვევი მეგობრობა საბჭოთა კავშირის ყველა თანასწორუფლებიან ეროვნებას შორის. ჩვენი დიადი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა შემოწმებულია ბრძოლებსა და შრომაში. საბჭოთა ხალხის ლენინური მეგობრობა საბჭოთა სოციალისტური წყობილების მძლავრი მამოძრავებელი ძალაა, საბჭოთა კავშირის ძლიერების უშრეტი წყაროა. სოციალისტური ერების დიად თანამეგობრობაში იზრდებოდა და ვითარდებოდა აგრეთვე საბჭოთა სოციალისტური სომხეთი.

საბჭოთა ხელისუფლებამ სომეხ ხალხს ხაშუალება მისცა განვლილი წლების მახძილზე ეკონომიკის აყვავებასთან ერთად ეწარმოებინა დიდი მშენებლობა კულტურისა და ხელოვნების ფრონტზე. სომეხმა ხალხმა მოკლე ვადაში შექმნა ახალი კულტურა — შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული.

საბჭოთა წყობილების პირველივე წლებიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სახალხო განათლებას. საბჭოთა მთავრობამ დიდი თანხა გამოჰყო განათლების საქმისათვის. და უაღრესად მცირე დროის განმავლობაში რესპუბლიკის ქალაქები და სოფლები დაიფარნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფართო ქსელით. ამჟამად რესპუბლიკაში მოქმედებს 1187 სკოლა, რომლებშიც სწავლობს 300 ათასამდე ბავშვი — თხუთმეტჯერ მეტი, ვიდრე 1914 წელს. სკოლებში მუშაობს 18 ათასზე მეტი მასწავლებელი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აშენებულია 1.000-ზე მეტი ახალი სასკოლო შენობა.

1921 წელს ერევანში დაარსდა სახელმწიფო უნივერსიტეტი — სომხეთის პირველი უმაღლესი სასწავლებელი, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა 37 წლის განმავლობაში სომეხი საბჭოთა ინტელიგენციის მომზადების საქმეში. ამჟამად რესპუბლიკაში არის 14 სტაციონარული და დაუსწრებელი უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც სწავლობს 13.000 კაცი.

1922 წლის 25 იანვარს მუშაობა დაიწყო გ. სუნდუკიანის სახელობის თეატრმა, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა სომხური თეატრის და მოლიანად დრამატურგიის რეალისტურ განვითარებაზე.

1923 წელს სომხური ფერწერის ახალგაზრდა ოსტატები აარსებენ „სომეხ მხატვართა საზოგადოებას“ (სომხეთის საბჭოთა მხატვრების კავშირს), რომელიც ამჟამად თავის რიგებში აერთიანებს ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის 200-ზე მეტ გამოჩენილ ოსტატს. 1924 წელს ერევანში მუშაობა დაიწყო მხატვრული და ქრონიკალური ფილმების სომხურმა კინოსტუდიამ, რომლის ბევრმა სურათმაც საერთო-საკავშირო აღიარება ჰპოვა.

დიდ საგიტაციო-აღმზრდელობითს მუშაობას ეწევა სომხეთის მოსახლეობას შორის და, უწინარეს ყოვლისა, სოფელ ადგილებში მოძრავი დრამატული თეატრი სახალხო არტისტის ამო ხაზარიანის ხელმძღვანელობით, რომელიც 1926 წელს ჩამოყალიბდა, მაგრამ მან თავისი საზოგადოებრივ-სასარგებლო მოღვაწეობა ჯერ კიდევ 1921 წლიდან დაიწყო.

1928 წელს ლენინაკანში დაარსდა სომხეთის მეორე სახელმწიფო დრამატული თეატრი, 1929 წლის დასაწყისში კი — აზერბაიჯანული მოძრავი თეატრი (რესპუბლიკის აზერბაიჯანელი მოსახლეობის მომსახურების მიზნით). იმავე ხანებში იხსნება ერევნის ა. ი. მიკოიანის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი, რომელიც სომეხი ბავშვების, მოსწავლეებისა და პიონერების საყვარელი თეატრი გახდა.

სომხური კულტურისათვის დიდი დღესასწაული იყო 1932 წელს ერევანში სომხეთის ოპერის თეატრის დაარსება, რომელიც კომპოზიტორ ა. სპენდიაროვის სახელს ატარებს.

1937 წელს ერევანში გაიხსნა კ. ს. სტანისლავსკის სახელობის რუსული დრამატული თეატრი, ხოლო 1942 წელს — ერევნის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრი.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში დრამატული თეატრები არსდება ბევრ რაიონულ ცენტრში — კიროვაკანში, გორისში, არტაშატში და სხვა ადგილებში, რამაც შესაძლებელი გახადა რესპუბლიკის თითქმის მთელი მოსახლეობის თეატრალური მომსახურება.

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე შეიქმნა კინოს ფართო ქსელი თითქმის 400 ერთეულის რაოდენობით, რაც მოსახლეობის კულტურული მომსახურების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად იქცა.

კიდევ უფრო განსაცვიფრებელია რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ბიბლიოთეკებისა და კლუბების მშენებლობის მასშტაბი. 1913 წელს სომხეთში იყო არა უმეტეს 20-30 ბიბლიოთეკისა, რომლებშიც იყო 100-120 ათასი წიგნი, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე ეს რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. ამჟამად რესპუბლიკაში არის 2.801 ბიბლიოთეკა 15.000.000 წიგნის ფონდით.

ასეთივე სურათია საკლუბო მშენებლობაში. დღეისათვის გვაქვს 1.137 კლუბი, რომლებიც რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში მუშაობენ, კულტურა და ცოდნა შეაქვთ მასებში.

სომხეთის სიმაყეა ა. მიასნიკოვის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა, რომელიც თავის წიგნსაცავში ითვლის 3 მილიონ წიგნს, მეცნიერებათა აკადემიის, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სხვა ბიბლიოთეკები.

მსოფლიოშია ცნობილი ერევანში არსებული უძველეს ხელნაწერთა სახელმწიფო საცავი (მატენადარანი). ეს ათასწლოვანი სომხური კულტურის ნამდვილი საგანძურია.

რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს რადიო. ერევნიდან წარმოებს რესპუბლიკური „უკანასკნელი ცნობების“ გამოშვებათა გადაცემა. გადაცემა წარმოებს სომხურ, რუსულ, აზერბაიჯანულ და ქურთულ ენებზე. ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები — მომღერლები, მუსიკოსები, მკითხველები, სისტემატურად გამოდიან რადიოთი. სოფლების უმრავლესობა რადიოფიცირებულია, და მოსკოვიდან, ერევნიდან და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებიდან ტრანსლირებული რადიოგადაცემები აღწევენ სომხეთის უკიდურეს კუთხეებს.

რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენაა ქალაქ ერევანში სატელევიზიო სტუდიის შექმნა, რომელიც ამა წლის თებერვლიდან აწარმოებს სისტემატურ გადაცემებს.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებამ უზრუნველყო საბჭოთა ხალხების ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის გაფურჩქვნა და აყვავება.

შაუმიანელთა წარმატებანი

შაუმიანის რაიონის მეცხოველეები, რომლებსაც ამოძრავებს მხურვალე სურვილი თავიანთი წვლილი შეიტანონ პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის ბრძოლაში, რესპუბლიკაში ერთი პირველთაგანი გამოეხმაურნენ პარტიის მოწოდებას—უახლოეს წლებში დაევეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

რაიონმა ვალდებულება აიღო 1957 წელს 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ყველა კატეგორიის მეურნეობაში ხორცის წარმოება აიყვანოს 94 ცენტნერამდე, კოლმეურნეობებში — 85 ცენტნერამდე, რძის წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობაში — 529 ცენტნერამდე, კოლმეურნეობებში — 410 ცენტნერამდე. ეს ციფრები მჭევრმეტყველურად ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ შაუმიანის რაიონის კოლმეურნეები უკვე წელს მნიშვნელოვნად გადააჭარბებენ ამერიკის მეერთებული შტატების მაჩვენებლებს. 100 ჰექტარ სავარგულზე ხორცის წარმოების მხრივ რაიონი ამერიკას უსწრებს 2,6-ჯერ, რძის წარმოების მხრივ კი — 3,7-ჯერ.

რა არის წარმატების საიდუმლოება? უწინარეს ყოვლისა ის, რომ კოლმეურნეებმა გააუმჯობესეს სათესი მინდვრების სტრუქტურა, თესავენ უფრო მნიშვნელოვან საკვებ კულტურებს — სიმინდს, იონჯას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოზარდეულის გაზრდას და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ცხვრის გამოკვებას.

რაიონში სულ უფრო იზრდება მეცხოველეობის კულტურა. სოფელ შანგავითის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ ქვეყნის მოწინავე კოლმეურნეობათა მაგალითის მიხედვით პირველმა რესპუბლიკაში დაიწყო ძროხების წველის პროგრესული მეთოდების გამოყენება. აქ უკვე დაამთავრეს მუშაობა საწველი მოედნის მოსაწყობად. კოლმეურნეობის გამგეობამ გამოჰყო თანხა ბოსლის სრული მექანიზაციისათვის. უკვე დადგმულია ავტომატი შენობის მექანიკური წმენდისათვის და საკვების მისაზიდი ახალი სისტემის კიდული გზა.

დიდი ოქტომბრის სახელოვან მე-40 წლისთავს შაუმიანელი მეცხოველეები ახალი შრომითი წარმატებებით ხვდებიან. 1957 წლის იანვრიდან რაიონში საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 2.099 კილოგრამი რძე, ხოლო 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე 372,3 ცენტნერი რძე.

ს. აკოპიანი,
პარტიის შაუმიანის რაიკომის ინსტრუქტორი.

ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲗᲐᲜᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲛᲐ ᲝᲠᲐᲡᲪᲐᲛᲔᲢᲯᲔᲠ ᲨᲔᲛᲝᲣᲐᲠᲐ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲡ

19 ოქტომბრის დილის 6 საათისათვის თანამგზავრმა და მატარებელმა რაკეტმა დაახლოებით 213-ჯერ შემოუარეს დედამიწას, გაიარეს თითქმის 9 მილიონ 350 ათასი კილომეტრი.

19 ოქტომბერს დილით მატარებელი რაკეტი თანამგზავრს გაუსწრებს დაახლოებით 24 წუთით, ანუ 11 ათასი კილომეტრით; 19 ოქტომბრის საღამოსათვის გაუსწრებს დაახლოებით 27 წუთით (თითქმის 12 ათას 400 კილომეტრი). ამასთან მატარებელი რაკეტი თანამგზავრის აღმოსავლეთით გაიცლის 6,75 გრადუსით გრძედზე.

20 ოქტომბერს თანამგზავრის მოძრაობაზე დაკვირვებისათვის გადმოგცემთ მსოფლიოს იმ ძირითადი პუნქტების სიას, რომლებსაც თანამგზავრი გადაუვლის (მოსკოვის დროით).

20 ოქტომბერი

არხანგელსკი 00 საათი და 00 წუთი, ტომსკი 00 საათი და 06 წუთი, ლანჯოუ 00 საათი და 13 წუთი, გუანჯოუ 00 საათი და 17 წუთი, მელბურნი 00 საათი და 36 წუთი, ლიმა 01 საათი და 11 წუთი, კარაკასი 01 საათი და 18 წუთი, ფარერის კუნძულები 01 საათი და 33 წუთი, სვერდლოვსკი 01 საათი და 41 წუთი, ალმა-ატა 01 საათი და 46 წუთი, კალკუტა 01 საათი და 52 წუთი, ოგასტა (ავსტრალია) 02 საათი და 10 წუთი, ჯეკსონვილი 02 საათი და 59 წუთი, ნიუ-იორკი 03 საათი და 01 წუთი, რეიკიავიკი 03 საათი და 11 წუთი, ლენინგრადი 03 საათი და 17 წუთი, მოსკოვი 03 საათი და 18 წუთი, აშხაბადი 03 საათი და 24 წუთი, კანზასი 04 საათი და 38 წუთი, მინეაპოლისი 04 საათი და 39 წუთი, რეიკიავიკი 04 საათი და 49 წუთი, კოპენჰაგენი 04 საათი და 54 წუთი, ბუქარესტი 04 საათი და 57 წუთი, ანკარა 04 საათი და 59 წუთი, ბეირუთი 05 საათი და 01 წუთი, სან-ფრანცისკო 06 საათი და 13 წუთი, ლეიკჰარბორი 06 საათი და 22 წუთი, ლონდონი 06 საათი და 31 წუთი, ტუნისი 06 საათი და 35 წუთი. (საკდესი).

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲘᲡ XII ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲡᲘᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲩᲘᲕᲐᲠᲘ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲔᲢᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲘᲗᲐᲜ

ნიუ-იორკი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს დღისით გაიმართა გენერალური კომიტეტის სხდომა იმისათვის, რომ განეხილა სირიის თხოვნა — დაუყოვნებლივ შეეტანათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიმდინარე სესიის დღის წესრიგში საკითხი „სირიის უშიშროებისა და საერთაშორისო მშვიდობისათვის საფრთხის შესახებ“ სირიის საზღვარზე თურქეთის დიდ სამხედრო მზადებასა და პროვოკაციებთან დაკავშირებით.

კომიტეტის სხდომაზე მიიწვიეს სირიისა და თურქეთის წარმომადგენლები.

სირიის წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა სალაჰ ბითარმა, რომელმაც დაასაბუთა თხოვნა აღნიშნული საკითხის ასამბლეის დღის წესრიგში შეტანის შესახებ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ სირიამ, ვიდრე გენერალურ ასამბლეას მიმართავდა, ამოწურა ყველა შესაძლებლობა და ცდილობდა შეენელებინა დაძაბული მდგომარეობა თურქეთთან მოლაპარაკების გზით. სირიის დელეგატმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ თურქეთის ჯარების კონცენტრაციას სირიის საზღვარზე თან ახლავს ცილისწამების, პროვოკაციებისა და ძარგამომთხრელი საქმიანობის კამპანია სირიის წინააღმდეგ ზოგიერთი უცხო სახელმწიფოს მხრივ და რომ ყოველივე ეს არის სირიის უშიშროებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ საერთო შეთქმულების ნაწილი. ეს მოქმედება, თქვა მან, ისე საშიში გახდა, რომ ქმნის საომარი კონფლიქტის საფრთხეს. სირიის დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა აგრეთვე, რომ გენერალური ასამბლეისადმი მიმართვისას მისი მთავრობა ხელმძღვანელობს ერთადერთი მიზნით — მიიღწიოს შექმნილი დაძაბულობის შენელებას.

თურქეთის წარმომადგენელი ესინი უსაბუთოდ უარყოფდა ბრალდებებს, რომლებსაც შეიცავენ სირიის მემორანდუმი და სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის ა. ა. გრომიკოს წერილი. იგი ამტკიცებდა, რომ თურქეთი თითქოს „გამსჭვალულია უღრეკად გულმხურვალე გრძნობებით სირიისადმი“, მაგრამ არც კი ცდილა უარეყო სირიის საზღვარზე თურქეთის შეიარაღებული ძალების კონცენტრაციის ფაქტი და სხვა ფაქტები, რომლებიც მოწმობენ სირიის წინააღმდეგ პროვოკაციებს.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მხარი დაუჭირა სირიის თხოვნას დღის წესრიგში ზემოაღნიშნული პუნქტის შეტანის შესახებ. მან ყურადღება მიაქცია აგრეთვე იმას, რომ გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ გააჭიანურა გენერალური კომიტეტის მოწვევა ორ დღეღამეზე მეტი ხნით, თუმცა სირიის დელეგაციის წერილშიც და საბჭოთა დელეგაციის წერილშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული ამ საკითხის სასწრაფე.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ არსებობს სერიოზული საფუძველი იმისათვის, რომ ეს საკითხი განხილულ იქნას სასწრაფო წესით, თუმცა შესაძლებელია ვინმე დაინტერესებულიც იყოს მისი განხილვის გაჭიანურებით.

ა. ა. გრომიკომ თურქეთის დელეგატის განცხადება გენერალურ კომიტეტში დაახასიათა როგორც ცდა „თვალი აუხვიოს“ დამნდობ ადამიანებს.

დასასრულ სსრ კავშირის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გენერალურმა ასამბლეამ სირიის მიერ დასმული საკითხი უნდა განიხილოს სასწრაფო წესით, სათანადო ყურადღებით და სათანადო სერიოზულობით.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ლოჯმა მხარი დაუჭირა თურქეთის პოზიციას, მაგრამ არ გაულაშქრნია იმის წინააღმდეგ, რომ სირიის მიერ წარმოყენებული პუნქტი ასამბლეის დღის წესრიგში შეეტანათ. მან გასაგები გახადა, რომ, მისი დელეგაცია შეეცდება ამ საკითხის განხილვა გამოიყენოს იმისათვის, რომ გაიმეოროს ამერიკის პროპაგანდის ჭორები, რომ ახლო აღმოსავლეთში დაძაბულობის მიზეზი თითქოს საბჭოთა კავშირია. ლოჯმა მოითხოვა შეეცვალათ პუნქტის სახელწოდება იმგვარად, რომ მისთვის უფრო ადვილი ყოფილიყო დისკუსია გენერალურ ასამბლეაში სწორედ ამ გზით წარემართა.

ინგლისისა და საფრანგეთის დელეგატებსაც არ გაულაშქრნიათ დღის წესრიგში ამ პუნქტის შეტანის წინააღმდეგ, მაგრამ შენიშვნა გააკეთეს, რომ მათი პოზიცია იმის როდი ნიშნავს, რომ ეთანხმებიან ბრალდებებს, რომლებიც თურქეთის წინააღმდეგ წამოაყენეს.

სირიის თხოვნის მხარდასაჭერად გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის, ცეილონის, ტუნისის, ირანისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. ცეილონის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თურქეთისა და სირიის საზღვარზე შექმნილი მდგომარეობა მართლაც დაკავშირებული მშვიდობისათვის გარკვეულ საფრთხესთან და გენერალურმა ასამბლეამ უნდა იმოქმედოს ობიექტურად და სწრაფად. ცეილონის დელეგატმა განსაკუთრებით აღნიშნა სირიის თხოვნის გულწრფელობა. მსოფლიო გაერთიანებული ერების ორგანიზაციისგან მოელის, თქვა ცეილონის დელეგატმა, ისეთ მოქმედებას, რომელიც მშვიდობასა და უშიშროებას აღადგენს ამ რაიონში.

ირანის წარმომადგენელი მოუწოდებდა, რომ სირიის შეტანილი საკითხის განხილვა მიმდინარეობდეს გონივრულ და ჯანსაღ ატმოსფეროში, რათა ხელი შეუწყოს ახლო აღმოსავლეთში დაძაბულობის შენელებას.

სხდომის ბოლოს გამოსულმა სირიის წარმომადგენელმა სალაჰ ბითარმა უარყო ამერიკის დელეგატის წინადადება რაიმე ცვლილება შეეტანათ იმ საკითხის ფორმულირებაში, რომელიც სირიამ შეიტანა.

გენერალურმა კომიტეტმა უშენიშვნოდ მიიღო გადაწყვეტილება — ურჩიოს გენერალურ ასამბლეას სესიის დღის წესრიგში შეიტანოს „სირიის უშიშროებისა და საერთაშორისო მშვიდობისათვის საფრთხის“ საკითხი და იგი განიხილოს პლენარულ სხდომაზე.

ნიუ-იორკი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). დღის მეორე ნახევარში შეიკრიბა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესიის პლენარული სხდომა, რათა განეხილა გენერალური კომიტეტის რეკომენდაცია, რომ სესიის დღის წესრიგში შეეტანა „სირიის უშიშროებისა და საერთაშორისო მშვიდობისათვის საფრთხის“ საკითხი, რომელიც სირიის დელეგაციამ მოითხოვა.

გენერალურმა ასამბლეამ 66 ხმით (ერთმა თავი შეიკავა) უდისკუსიოდ მოიწონა გენერალური კომიტეტის რეკომენდაცია სესიის დღის წესრიგში სირიის საკითხის შეტანის შესახებ და დაადგინა განიხილოს იგი პლენარულ სხდომებზე.

ამის შემდეგ კენჭისყრის მოტივების განმარტებისათვის გამოვიდნენ ზოგიერთი დელეგაციის წარმომადგენლები.

ასამბლეის თავმჯდომარემ სხდომის დახურვისას განაცხადა, რომ პლენარული სხდომა დღის წესრიგში ახლახან შეტანილი საკითხის განსახილველად გაიმართება მომავალ კვირაში და რომ მისი მოწვევის თარიღი ცალკე გამოცხადდება.

„ᲡᲘᲠᲘᲐᲡ ᲛᲮᲙᲘᲪᲔᲚ ᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲫᲐᲜᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲪᲕᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ“

დამასკო, 18 ოქტომბერი. (საკდესი). შეეხორა თურქეთის ჯარების კონცენტრაციას სირიის საზღვარზე, სირიის პრემიერ-მინისტრმა საბრი ასალმ გაზეთ „ალ-ჯუმჰურიას“ კორესპონდენტს განუცხადა:

„სირიას არა აქვს რაიმე აგრესიული განზრახვა. იარაღი, რომელიც სირიამ მიიღო, გახდომილია მხოლოდ მისი ტერიტორიის თავდაცვისა და დამოუკიდებლობის დაცვისათვის.

ᲘᲖᲛᲘᲠᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲔᲑᲘ

ლონდონი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი სტამბოლიდან იუწყება, დღეს იზმირში ჩავიდა ამერიკის სამხედრო ხომალდების რაზმი, რომლის შემადგენლობაში შედის კრეისერი „კანბერა“.

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲘ Გ. Კ. ᲟᲣᲙᲝᲕᲘ ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ტირანა, 18 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა მარშალმა გ. კ. ჟუკოვმა, რომელიც ოფიციალური ვიზიტით ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფება, დაიწყო ალბანეთის დედაქალაქის გაცნობა. დღეს იგი იყო ტირანის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სტუდენტებმა საბჭოთა სტუმარს განსაკუთრებით გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. მას შემდეგ, რაც მარშალი გ. კ. ჟუკოვი გაეცნო აუდიტორიებს, კაბინეტებსა და ლაბორატორიებს, უნივერსიტეტის მოედანზე გაიმართა მიტინგი. სტუმარს მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი ზია კელიჩი. სტუდენტები მოწონების ერთსულოვანი შეძახილებით შეხვდნენ რექტორის განცხადებას, რომ ალბანელი ხალხი გამსჭვალულია სიამაყის გრძნობით საბჭოთა კავშირისათვის, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკოსებისათვის, რომლებმაც შეძლეს მსოფლიოში პირველთ შეექმნათ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტი და გაეშვათ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი.

შემდეგ მოკლე სიტყვა წარმოთქვა მარშალმა გ. კ. ჟუკოვმა, რომელმაც სტუდენტებს გადასცა საბჭოთა ხალხის გულითადი სალამი. საბჭოთა ადამიანებს, თქვა გ. კ. ჟუკოვმა, გულწრფელად უხარიათ ალბანელი ხალხის წარმატებანი ბედნიერი სოციალისტური ცხოვრების მშენებლობაში და მას კიდევ უფრო მეტ წარმატებებს უსურვებენ. გ. კ. ჟუკოვმა სტუდენტებს უსურვა ნაყოფიერი სწავლა სოციალისტური სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

ერთსულოვანი ტაშით, შეძახილებით: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს! გაუმარჯოს ალბანეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!“ შეხვდნენ სტუდენტები სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მისალმებას.

დღესვე გ. კ. ჟუკოვმა და მისმა თანმხლებმა უმაღლესმა საბჭოთა ოფიცრებმა ინახულეს ენვერ ხოჯას სახელობის ოფიცერთა გაერთიანებული სკოლა. სკოლის უფროსმა პოლკოვნიკმა ქიაზიმ კაპისიუზმ სტუმრებს გააცნო სწავლის პროცესი. მეცადინეობის დროს მარშალი გ. კ. ჟუკოვი ესაუბრა კურსანტებს, გაეცნო მათი ყოფა-ცხოვრების პირობებს.

ოფიცერთა გაერთიანებული სკოლის ნახვისას მარშალ გ. კ. ჟუკოვს ახლდნენ ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოგო ნუში, სახალხო თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ბექირ ბალუკუ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვისილ ნათანაილი და სხვა თვალსაჩინო ალბანელი მოღვაწეები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ალბანეთში ვ. ი. ივანოვი.

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲞᲔᲙᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲮᲐᲜᲝᲘᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

პეკინი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს დილით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ა. ბ. არისტოვის მეთაურობით პეკინიდან მეგობრული ვიზიტით გაფრინდა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲨᲘ

ბუდაპეშტი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საინფორმაციო სამმართველომ მოაწყო პრეს-კონფერენცია, რომელზეც უნგრეთისა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლების წინაშე გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძველი წევრების დელეგაციის წევრები, რომლებიც უნგრეთში არიან უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით.

საბჭოთა სტუმრებმა შეკრებილთ გაუზიარეს უნგრეთში ყოფნით გამოწვეული შთაბეჭდილებანი და დიდი მადლობა გადაუხადეს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, მთელ უნგრელ ხალხს იმ უაღრესად გულთბილი მიღების გამო, რომელიც მათ მეგობარ ქვეყანაში მოუწყეს.

ᲡᲐᲣᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

პარიზი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთ „ლუმანიტეში“ გამოქვეყნდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადება საფრანგეთის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. პოლიტბიურო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამჟამად საფრანგეთში და პარლამენტში არიან ძალები, რომლებსაც შეუძლიათ დაამარცხონ რეაქცია. „ითვალისწინებს რა სწორედ ამას, — ნათქვამია განცხადებაში, — კომუნისტური პარტია მოუწოდებს ყველა შემარცხენე პარტიასა და პარლამენტის დაჯგუფებებს იმოქმედონ იმისათვის, რომ ჩაშალონ პინეს ცდა შექმნას რეაქციისა და ომის მთავრობა, აღუურეალი ფართო რწმუნებებით“.

პოლიტბიურო კვლავ მოაგონებს საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას, რომ მზად არის შეხვდეს სხვა მემარცხენე პარტიების წარმომადგენლებს, რათა განიხილონ საკითხი საერთო მოქმედების შესახებ ალჟირში მშვიდობის აღდგენის მიზნით, რადგან ფრანგი ხალხის კეთილდღეობა და საფრანგეთის მომავალი ძირითადად დამოკიდებულია ალჟირის პრობლემის გადაჭრაზე.

დასასრულ პოლიტბიურო მოუწოდებს „ყველა მშრომელ დემოკრატსა და ყველა ადამიანს, რომლებიც მშვიდობას ესწრაფვიან, განამტკიცონ ერთიანობა და გააორკეცონ ღონისძიებანი, რათა აღმოფხვრან მთავრობის კრიზისი მემარცხენე ძალების პოზიციის გათვალისწინებით“.

ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ

ჰელსინკი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). პრემიერ-მინისტრმა ვ. ი. სუკსელაინენმა დღეს საღამოს ინახულა რესპუბლიკის პრეზიდენტი უ. კ. კეკონენი და გადასცა მას შუამდგომლობა მთავრობის გადადგომის შესახებ. პრეზიდენტმა მიიღო გადადგომა და სთხოვა მთავრობას დროებით შეასრულოს თავისი მოვალეობა.

ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ

ჰელსინკი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ფინეთის პარლამენტმა დაამთავრა მთავრობის პასუხის განხილვა მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების შეკითხვაზე, რომელიც ეხებოდა მთავრობის რეორგანიზაციასა და მის უნარს თავი გაართვას ამოცანებს.

შეკითხვის განხილვის მსვლელობაში შეტანილი წინადადებებისათვის კენჭისყრისას მთავრობას უნდობლობა გამოეცხადა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲞᲝᲚᲝᲜᲣᲠᲘ ᲪᲘᲠᲙᲘᲡ „ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ“ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲔᲑᲘ

გუშინ, 19 ოქტომბერს, თბილისში ჩამოვიდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ცირკის მსახიობთა ჯგუფი.

პოლონეთის ცირკის „ვარშავის“ მსახიობთა ჯგუფში 42 კაცია. ისინი წარმატებით გაბოდიოდნენ მოსკოვში ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალზე. 18 კაცი გახდა ფესტივალის სამხატვრო კონკურსების ლაურეატი.

პოლონელი მსახიობები თბილისის სახელმწიფო ცირკის შენობაში გამართავენ რამდენიმე წარმოდგენას. საცირკო ხელოვნების მოყვარულნი ნახავენ შესანიშნავი აკრობატების, ჟონგლიორების, მოჯირითეების, ილუზიონისტების, მწვრთნელების ოსტატობას.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: პოლონეთის ცირკის „ვარშავის“ მსახიობები თბილისის ვაგზალზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ბაკო, 19 ოქტომბერი. (ტელეფონით). ამერიკაკავასიის მომმე რესპუბლიკებისა და მოლდავეთის სსრ სპარტაკიადა დამთავრდა. უკან დარჩა ექვსი დღის საინტერესო ბრძოლა. საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და მოლდავეთის მერვე სპარტაკიადა დიდად განსხვავდებოდა წინა სპარტაკიადებისაგან. უპირველეს ყოვლისა ეს გამოიხატებოდა გაშლილ პროგრამასა და მასობრივობაში. მაგალითად, თუ 1954 წელს მეშვიდე სპარტაკიადის პროგრამა სპორტის 15 სახეობას მოიცავდა, წელს იგი წარმოდგენილი იყო 21 სახეობით. ბუნებრივია, შეჯიბრების პროგრამის გაფართოებამ ასპარეზობა უფრო საინტერესო გახადა.

როგორია სპარტაკიადის შედეგები?

იგი დამთავრდა საქართველოს სპორტსმენთა მორიგი, მერვე გამარჯვებით. მათ დიდად გაუსწრეს თავიანთ უახლოეს მეტოქეებს — აზერბაიჯანისა და სომხეთის სპორტსმენთა კოლექტივებს. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა სახახელოდ შეიძლება ითქვას, რომ 14 სახეობაში — ძმლეოსნობაში, ცურვაში, კალათბურთში (ქალები), ფეხბურთში, ჩოგბურთში, კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, ძალოსნობაში, ტანვარჯიშში, მოტოსპორტში, ცხენოსნობაში, სასტენდო სროლაში, ნიჩბოსნობასა და ფარიკაობაში პირველი ადგილი და სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს. მეორე ადგილზე გამოვიდნენ წყალბურთელები, კალათბურთელი ვაჟები, ფრენბურთელი ქალები და ვაჟები, ველომრბოლები და ხუთჭიდოსნები, მესამეზე — წყალში მხტომელები.

ამავე სპარტაკიადაზე საქართველოს სპორტსმენებმა დაამყარეს ჩვენი რესპუბლიკისა და სპარტაკიადის ახალი რეკორდები, შეასრულეს ოსტატის ნორმები.

მნიშვნელოვნად გაიზარდა მოძმე აზერბაიჯანისა და სომხეთის სპორტსმენთა შედეგები. მოლდავეთის გუნდის, როგორც ამ შეჯიბრებაში ყველაზე ნაკლებად გამოცდილის, მაჩვენებლები ჯერ კიდევ დაბალი იყო.

სპარტაკიადაზე მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა აზერბაიჯანმა, მესამე — სომხეთმა. აღსანიშნავია, რომ თუ გასულ სპარტაკიადაზე აზერბაიჯანის გუნდს მხოლოდ ერთი პირველი და ორი მეორე ადგილი ჰქონდა, წელს ხუთი პირველი, 9 მეორე და 7 მესამე ადგილი აქვს.

სპორტული მაჩვენებლებით აზერბაიჯანელებმა წელს დიდად გაუსწრეს მეშვიდე სპარტაკიადაზე მეორე ადგილზე გამოსულ სომხეთის სპორტსმენთა კოლექტივს.

გუშინ შეჯიბრების დამთავრების შემდეგ საქართველოს სპორტსმენთა დელეგაცია შეხვდა ბაკოს უნივერსიტეტის სტუდენტებს. საქართველოს დელეგაციამ გვირგვინებით შეამკო სამედ ვურგუნის, ნიზამი განჯელისა და 26 კომისრის ძეგლები.

საღამოს ოპერისა და ბალეტის თეატრში მოეწყო სპარტაკიადის საზეიმო დახურვა. საღამოზე სპარტაკიადის შედეგები გამოაქვეყნა მთავარმა მსაჯმა პეტროვმა. საკავშირო ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ კრივცოვმა სპარტაკიადაში გამარჯვებული საქართველოს გუნდის ხელმძღვანელს გადასცა გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ხარისხის დიპლომი. აზერბაიჯანის გუნდს გადაეცა მეორე ხარისხის დიპლომი, სომხეთის გუნდს — მესამე ხარისხის დიპლომი.

საქართველოს სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელმა სიხარულიძემ აზერბაიჯანის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს კაფაროვს აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხის მეგობრობის ნიშნად გადასცა საქართველოს მშრომელთა საჩუქარი — ბროლის დიდი თასი.

მერვე სპარტაკიადის ალამი დაუშვეს გამარჯვებულმა სპორტსმენებმა.

დღეს საქართველოს სპორტული დელეგაცია თბილისში მიემგზავრება.

ვ. ᲒᲐᲒᲔᲚᲘᲐ,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

რედაქტორის მოადგილე რ. ᲫᲣᲠᲪᲘᲙᲘᲫᲔ.

ᲓᲦᲔᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ოპერისა და ბალეტის — ქეთო და კოტე (დილას), ორლეანელი ქალწული (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — ეზოში ავი ძაღლია (დილას), ლერწამი ქარში (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ესკადრის დაღუპვა (დილა-საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — მარტოხელა (დილა-საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — დალი (დილას), დინარა (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ამბავი ორი ბიჭისა (აბონემენტი № 6), ბორის ძნელაძე (აბონემენტი № 39), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — რბილი ხასიათი (11 ს. და 3 ს.), **თოჯინების ქართული** — ნუკრი (11 ს. და 2 ს.). **ფილარმონია** — ესტრადის ახალგაზრდა მსახიობთა კონცერტი (საზაფხულო სეზონის დახურვა).

ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), **ისანი** (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** — ლენინგრადის სიმფონია, **ამირანი** (საზაფხულო) — **ყველაზე ძვირფასი ოქტომბერი, 26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — ქარიშხალი, **სპარტაკი** — ხანკა, **ფილარმონიის ბაღი, საქართველო** (მწვანე დარბაზი), **ოფიცერთა სახლი** — ჰოდუბნის შაირები, **ისანი** (საზაფხულო), **დიდუბე** (საზაფხულო) — გაასწორეთ ფოკუსი, **კომკავშირელი, კოლხიდა** (საზამთრო), **ორჯონიკიძის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი** — სამოთხის ჩიტები, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — დონ სეზარ დე ბაზანი, **კოლხიდა** (საზაფხულო), **საარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი,** — კოორდინატები უცნობია.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

ამ დღეებში

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ცირკის მსახიობთა გასტროლები

მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე

დილის 10 საათიდან დღის 4 საათამდე.

ᲢᲔᲚᲔᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲗᲐ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ

20 ოქტომბრისათვის

დილით

(მე-200 გადაცემა)

11.50 — „ჩვენი მეორასე გადაცემა“,

12.00 — გადაცემა ბავშვებისათვის— „ჩვენ დღეს ცირკში ვართ“ (საცდელი გადმოცემა თბილისის სახელმწიფო ცირკიდან). ანტრაქტში — დოკუმენტური ფილმი „დათვების ცირკი“, — სპექტაკლის შემდეგ — მომავალი კვირის საბავშვო გადაცემათა პროგრამა.

საღამოს

20.00 — ახალგაზრდა შემსრულებელთა კონცერტი, 20.30 — კინოქურნალი, 20.40 — ახალი მხატვრული ფილმი „კოორდინატები უცნობია“.

ᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲘᲒᲘ, ᲜᲝᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲠᲣᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲗᲘᲗ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲘᲐᲜ
ᲜᲘᲜᲝ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲡ ᲐᲡᲣᲚ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ-ᲯᲝᲠᲯᲐᲫᲘᲡ
გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21-X, 8 ს. გამოსვენება 22-X, 4 ს. ლერმონტოვის ქ. № 22.

ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲠᲒᲝ, ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲖᲜᲒᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ, ᲠᲫᲐᲚᲘ ᲚᲔᲜᲐ ᲜᲐᲜᲐᲫᲔ, ᲡᲘᲫᲔ Თ. ᲛᲘᲚᲝᲠᲐᲕᲐ ᲝᲯᲐᲮᲘᲗᲘᲗ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲘᲐᲜ
ᲚᲘᲖᲐ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲐᲡᲣᲚ ᲖᲜᲒᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ
გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21-X, 8 ს. გამოსვენება 22-X, 4 ს. განჯის ქ. № 9 (საბურთალო).

ᲛᲔᲣᲦᲚᲔ ᲘᲞ